ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 23 ნოემბერი, №21 (6434)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 60 თეთრი

# გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!



## 23 ნოემბერი გიორგობაა

ყოველი ერი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს რომელიმე წმიდანს, ყოველ ერს ჰყავს თავისი განსაკუთრებული ზეციური მფარველი, რომელიც ლოცულობს ერისთვის და იფარავს განსაცდელთაგან.

წმიდა გიორგი არის საქართველოს განსაკუთრებული მფარველი. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმიდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.

საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გეორგიას“ ეძახიან, ჩვენთან ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. „არა არიან ბორცვნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შჱნნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“, - წერს ვახუშტი ბატონიშვილი.

საქართველოს მეფეების, ბაგრატიონების გერბზე წმიდა გიორგი გამოსახულია, როგორც გველეშაპის შემმუსვრელი. წინათ დიდმოწამის ხატი ქართული ლაშქრის დროშებზე აბრეშუმით იყო ამოქარგული. ბრძოლის დროს რუსთავის ეპისკოპოსს დროშა ეჭირა, მღვდლებს კი - ხატები. არცთუ იშვიათად წმიდა გიორგის გამოსახულება მეომართა ფარებზე იყო ამოტვიფრული.

საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან და საქართველოში არსებული წმიდა გიორგის 365 ნაწილთან არის დაკავშირებული.

10(23) ნოემბერს აღინიშნება წმიდანის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმოწამის სიყვარული.

„მეფე უგუნური (დიოკლეტიანე) ესწრაფოდა სიკვდილსა შენსა“, - ვკითხულობთ წმიდა გიორგის დაუჯდომელ ლოცვაში, - „ჭირთა დამთმენელო გიორგი, და ვითარცა მგელსა მშიერსა, სწყუროდა სისხლი შენი, ამისთჳსცა ბრძანა ურმის თვალსა ზედა წამებაჲ და საშინელთა სატანჯველთა მიცემაჲ შენი, ხოლო შენ, უფლისა მიერ ყოველივეს დამთმენელი, სასოებით მტკიცედ ჰმობდი ღმერთსა, ალილუია“.

წმიდა გიორგი ითვლება მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა, მოგზაურთა მფარველად. მას ევედრებიან აგრეთვე დემონური ძალებისაგან დახსნისათვის.

ღმრთის განგებით ქართველი ერი უშუალო მფარველობისათვის ჩაბარდა წმიდა გიორგის, ამიტომაც წმიდა გიორგის დაუჯდომლის იკოსს დაემატა მუხლი: „გიხაროდენ უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენი ეკლესიისაო“.

„წმიდა გიორგი არის სიმბოლო გამარჯვებისა, საქართველოს ძლევამოსილი გამარჯვებისა. აი, ჩვენს წინაშე არის ორი პიროვნება - წმიდა გიორგი და იმპერატორი დიოკლეტიანე, სიმბოლო სიკეთისა და ბოროტებისა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე დედამიწა იარსებებს. ამიტომ ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს, ერს, ქვეყანას ამ ბრძოლის დროს შეეწევა, ღვთის ძალა და მადლია. თქვენ გახსოვთ, წმიდა გიორგი სისხლით რომ იცლებოდა, მოესმა ხმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ“. დღეს ჩვენც გვესმის, სრულიად საქართველოს ესმის ეს ხმა უფლისა: „საქართველო, ნუ გეშინინ, მე შენთანა ვარ!“ ჩვენთან არს ღმერთი და ვერავითარი მტერი ვერ სძლევს საქართველოს, რადგან ჩვენი მფარველი არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დედა - განგებითა ღვთისათა პატრონი საქართველოსი, დიდი დიასახლისი ჩვენი ქვეყნისა. ჩვენი მფარველნი არიან წმიდა ნინო, წმიდა გიორგი, წმიდა ნიკოლოზი და მრავალი ის წმიდანი, მოწამე, ღირსი მამა, მღვდელმთავარი, რომელიც ადიდებდა ღმერთს და თავისი ცხოვრებით მოიხვეჭა მადლი უფლისა. და აი, ამ წმიდათა მოწამეთა და ღირსთა მამათა, მღვდელმთავართა და ყოველთა წმიდათა ლოცვით, ვერავითარი მტერი ვერ სძლევს საქართველოს“.

**უწმიდესი და უნეტარესი,**
**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II**

### წმინდა გიორგის წამება და საკვირველებანი

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში ორჯერ - 23 აპრილსა (6 მაისი) და 10 ნოემბერს (23 ნოემბერი) - ზეიმობს დიდმოწამე გიორგის ხსენებას. ნოემბრის გიორგობას მართლმადიდებელ სამყაროში მხოლოდ საქართველოს ეკლესია აღნიშნავს, რადგან წმინდანის საგვემელ ბორბალზე წამება სისასტიკით ჯვარცმასაც არ ჩამოუვარდება.

რომის იმპერიაში პირველი დიდი დევნა ქრისტიანებზე ნერონის დროს აღიძრა, ხოლო უკანასკნელი, მეათე - დიოკლეტიანესა და მის მემკვიდრეთა ხანაში. ეკლესიის მთელი ისტორია ერთიანი, სისხლით დაწერილი მარტვილოლოგიაა და მისი ყოველი გვერდი სავსეა ქვეყნიერებისათვის ნაცნობ თუ უცნობ მოწამეთა სახელებით, რომელთა შორის გამოირჩევა ღვაწლი და წამება ძლევამოსილი გიორგისა. წმინდა გიორგი დაიბადა III საუკუნის II ნახევარში კაპადოკიაში, მთიან ქვეყანაში, რომელიც ძალიან წააგავს საქართველოს. კაბადოკიაში სახლობდნენ მისი მამა, გერონტიოსი, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო. მას მაღალი თანამდებობა ეკავა რომის არმიაში და ერთ-ერთი დევნის დროს მოწამეობრივად დაასრულა სიცოცხლე. ქმრის სიკვდილის შემდეგ გიორგის დედა, პოლიტრონია, პალესტინაში, თავის საგვარეულო მამულში გადასახლდა, ქალაქ ლიდის მახლობლად, სადაც იგი ღმრთისმოშიშებითა და სიყვარულით ზრდიდა შვილს. დედისადმი განსაკუთრებული სიყვარული და ღრმა ერთგულება წმ. გიორგის სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. გიორგი სრულიად ახალგაზრდა განმწესდა სამხედრო სამსახურში. ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში იგი

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

## გრემში თანამედროვე სპირტსახდელი საწარმო გაიხსნა

„ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში კიდევ ერთი ახალი საწარმო — „სარაჯიშვილი დისტილერი“ გაიხსნა. სოფელ გრემში მდებარე, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სპირტსახდელი საწარმო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დაათვალიერა.

გიორგი კვირიკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ახლადგახსნილი საწარმო სულ მალე ადგილობრივ ბაზარზე უმაღლესი ხარისხის პროდუქციას გაიტანს, სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ფინანსური მხარდაჭერა კი ხელს შეუწყობს წარმოების განვითარებას.

„სარაჯიშვილი დისტილერი“ სახელმწიფოს მხარდაჭერით, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში აშენდა. პროექტის განსახორციელებლად 827 000 აშშ დოლარი დაიხარჯა, აქედან, აგროკრედიტის მოცულობამ 600 000 აშშ დოლარი შეადგინა.

ქარხანა აღჭურვილია შარანტის ტიპის რვა აპარატით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს ღვინის ბრენდის კლასიკური ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნას უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, რომელიც ადგილობრივი ბაზრისთვისაა განკუთვნილი. კომპანია წელიწადში 500



000 ლიტრ საბრენდე სპირტს აწარმოებს. საწარმოში 150-მდე ადამიანი დასაქმდება.

სახელმწიფოს მხარდაჭერით კახეთის რეგიონში უკვე გაიხსნა 52 ახალი საწარმო და გაფართოვდა 303 საწარმო. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში. ამ პროექტების მხარდაჭერისთვის 17 მილიონ დოლარზე მეტია გაცემული.



## ილიაობა-2016

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 179-ე იუბილეს მიეძღვნა 8 ნოემბერს ყვარელში მოწყობილი სახალხო დღესასწაული, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მრავალი სტუმარი იღებდა მონაწილეობას.

ტრადიციულად დაიწყო ილიაობის ზეიმი. ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია მზექალაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ შავერდაშვილმა ყვარლის შემოსასვლელში არსებული ილია ჭავჭავაძის ბარელიეფი ყვავილებით შეამკეს. ასევე,საზეიმოდ გაიხსნა ილიას გორაზე ახლად რეაბილიტირებული ილია ჭავჭავაძის ძეგლი.

როგორც ყოველთვის, მუზეუმში მამა ბენიამენმა წმინდა ილია მართლის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

სახალხო დღესასწაულის შესაფერისად მუზეუმის ტერიტორიაზე მოეწყო ყვარლის სასპორტო სკოლის მიერ, ფალავნობა-ქართული ჭიდაობა.



მოწვეული სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ მუზეუმის ეზოში მოწყობილ სხვადასხვა სანახაობას — თონეში პურის ცხობას, თათარაობასა და ჩურჩხელის ამოვლებას, აქვე გამართულ თეატრალიზებულ წარმოდგენებს. გასული სასწავლო წლის წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოების ცერემონიალს. ასევე, შეეძლოთ დაეგემოვნებინათ კახური ტრადიციული კერძები და ღვინოები, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლების მიერ, სახელდახელოდ მოწყობილ ფაცხებში მზადდებოდა.

სახალხო ზეიმის ბოლო აკორდი იყო ახალგაზრდობის მოედანზე გამართული კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა თვითმოქმედმა ანსამბლებმა და სხვა შემსრულებლებმა.

ილიაობის დღესასწაულს დაემთხვა ყვარელში ლიტვის რესპუბლიკის ქალაქ პლუნგეს მუნიციპალიტეტის დელეგაციის სტუმრობა, რომელიც ხუთ დღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვია ყვარელს. დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დელეგაციამ უკვე მოინახულა ღირსშესანიშნაობები, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, მონაწილეობა მიიღო „ილიაობის“ სადღესასწაულო ღონისძიებებში.



როგორც ცნობილია, ყვარლისა და პლუნგეს მუნიციპალიტეტებს შორის მეგობრობა გასულ წელს დაიწყო და პირველი შეხვედრები გამოცდილების გაზიარების მიზნით, სწორედ გასულ წელს შედგა და ხელი მოეწერა ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

„ილიაობა 2016“-ის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად მაჟორიტარი დეპუტატები გურამ მაჭარაშვილი და ირაკლი სესიაშვილი, სახელმწიფო რწმუნებულიკახეთის მხარეში, ირაკლი ქადაგიშვილი და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები ესწრებოდნენ.

# ყვარელი — დიდი ილიას აკვნის დამრწევი ყვარელი!



რაოდენ მშობლიური და ახლობელია ეს სიტყვა თითოეული ჩვენთაგანისათვის, სახელწოდება ერთ-ერთი ულამაზესი დასახლებისა, რომელიც ისტორიული ქარტეხილებისა და ძნელბედობის მიუხედავად, დღესაც ამაყად გადმოჰყურებს ალაზნის ველს კავკასიონის სამხრეთი ფერდობებიდან.

ისტორია კი მართლაც მრავალმხრივი და საინტერესო აქვს ჩვენს ქალაქს, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის დიდმა ქართველმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა „კახეთის თვალი“ უწოდა.

ქართველი ხალხისა და დიდი ილიას მეგობარი არტურ ლაისტი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ყვარელს ასე აღწერს: „ეს დიდი სოფელი ვიწრო ხეობაშია მოქცეული, სადაც მემამულეთა და გლეხების სახლ-კარია ერთი-მეორეზე მჭიდროდ არის მიკრული, რადგანაც არ არის ვრცელი ადგილი ეზოსა და ბაღებისათვის. მხოლოდ ზოგ მემამულესა და გლეხს აქვს პატარ-პატარა ბაღები სახლთან. საუცხოო ბუნება გარს არტყია სოფელ ყვარელს. ჩრდილოეთით აღმართულია ხშირი ტყით შემოსილი მაღალი მთები და ხეობაში სჩანს ვიწრო ბილიკი, რომელსაც მგზავრი მიჰყავს უცხო მხარეში — დაღესტანში. რაღაც საიდუმლო მეფობს ამ ტყეში, არემარე ღრმა სიჩუმით არის მოცული, მხოლოდ ფრინველთა ჭიკჭიკი და ნაკადულთა ჩხრიალი არღვევს მყუდროებას“.

როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, ძნელი არ არის მიხვედრა, რომ იმდროინდელი ყვარელი ტიპიური კახური სოფელი იყო, სადაც ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი და გალავან-ყორეებით შემოსაზღვრული საცხოვრებელი სახლები და ეზო-კარმიდამოები ისტორიული ბედუკუღმართობის მანიშნებელია, როცა გამუდმებული ლეკიანობა და მტრის თავდასხმები მოსახლეობას აიძულებდა ასეთი მჭიდრო დასახლებები შეექმნათ მომხდურთა ურდოების მოსაგერიებლად. ამის ნათელი ილუსტრაციაა ძველი უბნები, რომლებიც დღესაც მჭიდრო და თითქმის ერთმანეთზე გადაბმული ეზო-კარმიდამოებით გამოირჩევა და სწორედ ამ ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად ჩამოყალიბებული განაშენიანების ტრადიციის დამადასტურებელია.

ყვარლის დაარსებასა და წარმოშობაზე მრავალი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით მეფეს დურუჯის ხეობაში ნადირობისას მოსწონებია მისი შემოგარენი, განსაკუთრებით კი ის ადგილი, სადაც ახლა ყვარელია გაშენებული — „ეს საყვარელი ადგილია და სოფელი უნდა გაშენდესო“, უბრძანებია მას.

ხალხური ზეპირსიტყვიერი გადმოცემის თანახმად — „ყვარელი გაშენებულა, წინანდელ ნატბევარშია, ირგვლივ ლამაზი გორები, დურუჯი უდგას თავშია“.

ყვარლის მდიდარ ისტორიულ წარსულზე ისიც მიანიშნებს, რომ მისი ტერიტორია და შემოგარენი მოფენილია მრავალი ისტორიული, საკულტო და არქიტექტურული ძეგლებითა და ნაგებობებით.

კარგადაა შემონახული და დღესაც მტკიცედ დგას თავის ფუნდამენტზე შუა საუკუნეების ცნობილი ციხე-სიმაგრე „ყვარლის ციხე“, რომელთანაც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი გმირული ეპიზოდია დაკავშირებული, როცა ციხეში გამაგრებულმა ქართველთა მცირერიცხოვანმა რაზმმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია 1755 წელს შემოსეული ავარიის ხანის, ნურსალ-ბეგის 20 ათასიან ლაშქარს და საბოლოოდ კუდით ქვა ასროლინა მტერს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ყვარლის ციხე კი, მშობლიურ ქალაქთან ერთად, დღესაც ამაყად დგას, როგორც უტყვი მოწმე იმ ქარიშხლიანი და მრავალჭირნახული საუკუნეებისა, როგორც მტკიცე კარიბჭე კახეთისა და მთელი საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრებისა.

და მაინც ყვარელს, ჩვენდა საბედნიეროდ და საამაყოდ, სულ სხვა მისია არგუნა მამაზეციერმა!

მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1911 წელს კახეთში სტუმრობისას, საქართველოს ბულბულსა და დიდ მგოსანს აკაკი წერეთელს უთქვამს, რომ კახეთი ბეთლემია სქართველოსი, რადგან აქ ილია ჭავჭავაძე დაიბადაო.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ სწორედ ყვარელია საქართველოს ბეთლემი, რადგან მის მიწაზე იშვა ეს ბუმბერაზი ადამიანი, უფრო სწორად ღმერთკაცი!

განგების ძალამ სწორედ ყვარელს არგუნა წილად ყოფილიყო დიდი ილიას დამბადებელი და აკვნის დამრწევი.

ყველა ერს აქვს თავისი წმიდათა-წმიდა ადგილი — დიდ წინაპართა ნააკვნარი, რომელსაც დიდი მოკრძალებით ეთაყვანება. ჩვენთვის და ყოველი ქართველისათვის ასეთი წმინდა ადგილია ყვარელი, სადაც დაიბადა გენიალური მამულიშვილი, ერის სულიერი მამა და უანგარო ჭირისუფალი, საქართველოს უგვირგვინო მეფე — დიდი ილია, წმინდა ილია მართალი!

როგორც ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ცნობილი პოეტი ილო ბეროშვილი აღნიშნავდა — „თუ მე-18 საუკუნეში ბედი ქართლისა ერეკლე მეორის ხმალს ეყრდნობოდა, მე-19 საუკუნეში ქართლის ბედი ილია ჭავჭავაძის კალამს დაეყრდნო“... ამ სიტყვების ჭეშმარიტების დასტურად გამოდგება თუნდაც გენიალური ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „მთელი ორმოცდაათი წელი ილიამ საქართველოს ბედი კალთითატარა, იყო მისი დარაჯი, როგორც დედა ერთადერთი შვილისა“. ანდა დიდი იაკობ გოგებაშვილის ცნობილი გამონათქვამი: „იქნება არც ერთ მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“.

რა თქმა უნდა, გენიოსები სხვაგანაც იბადებიან, მაგრამ სადავო არ უნდა იყოს, რომ პიროვნებაზე, მის ფიზიკურ, სულიერ და იდეურ ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ის გეოგრაფიული, სოციალური და კულტურული გარემო, სადაც იშვა და აღიზარდა, რამდენადაც, როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა იტყოდა — „ფესვები მწერლისა მის სიყრმეშია გართხმული... სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვდავია ადამიანის გულში საერთოდ, მითუმეტეს ნიჭიერი ადამიანისა და ნიჭის სათავე და დასაწყისიც სწორედ იქ არის“.

სწორედ ყვარელია ის მადლიანი ადგილის დედა, რომელმაც ასეთი ღვთიური ძალმოსილება და ნიჭი დაანათლა ღმერთკაცს, ვინც უკვდავი მცნება — „მამული, ენა, სარწმუნოება“ სამარადჟამო ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას. სწორედ ჩვენი მშობლიური „ყვარლის თავგვირგვინიანი მთები, ატეხილი ჭალები, ღვართქაფიანი დურუჯი და დარბაისელი ალაზანი აძლევდნენ ბანს იმ ქართველ დედას, რომელსაც ჭავჭავაძეანთ სამასწლიანი კაკლის ხის ჩეროში ედგა ჩვილი ილიას აკვანი. აკი იმ მთებმა დაანათლეს თავიანთი დიდბუნებოვანება, აკი ალაზანმა უბოძა სიდარბაისლე და შეუპოვრობა, ხოლო მღელვარება და მქუხარება ბობოქარმა დურუჯმა ( ილო ბეროშვილი).

ყველას და ყველაფერს აქვს როგორც მძიმე, ისე ნათელი პერიოდები. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ყვარელს ჰქონია როგორც ძნელბედობის, ისე აღზევებისა და აყვავების წლები. რაც არ უნდა ყოფილიყო, ყვარელი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, როგორც აღმოსავლეთის კარიბჭე, მუდამ ღირსეულად ასრულებდა საქართველოს საზღვრების დაცვის უპირველესი ფორპოსტის როლს, რომელსაც ისტორიაში არაერთგზის გაწუცდია აოხრება მტრის ურდოებისგან, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა ფენიქსის მსგავსად ფერფლისაგან აღდგენას და თავისი ისტორიული მისიის შესრულებას. ხოლო შემდეგ თვით ისტორიამ და განგებამ ყვარელს არგუნა საპატიო მისია — ყოფილიყო დიდი ილიას დამბადებელი, აკვნის დამრწევი და აღმზრდელი, რამაც ჩვენს პატარა ქალაქს უზარმაზარი ფუნქცია შესძინა და საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

# ქართული ღვინის კულტურის შესახებ წიგნის პრეზენტაცია აშშ-ში



**ნიუ-იორკში ქვევრის ღვინისა და ქართული ღვინის კულტურის შესახებ წიგნის პრეზენტაცია გაიმართა**

აშშ-ს ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე (RAW WINE) ქვევრის ღვინო იყო წარმოდგენილი. გამოფენის ფარგლებში ცნობილი ამერიკელი ღვინის მწერლის, ელის ფეირინგის ქართული ღვინის კულტურაზე დაწერილი წიგნის „ღვინის სიყვარულისთვის: მოგზაურობა მსოფლიოს უძველეს ღვინის კულტურაში“ პრეზენტაციაც გაიმართა.

ორდღიან გამოფენას, რომლის ორგანიზატორიც ცნობილი ღვინის ექსპერტი, ღვინის მაგისტრი იზაბელ ლეჟერონია (საფრანგეთი), ათასობით ღვინის პროფესიონალი, მოყვარული, რესტორნებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები დაესწრნენ, რაც ქართული ღვინის მწარმოებლებს ახალი იმპორტიორებისა და პარტნიორების მოძიების შესაძლებლობას აძლევს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქვევრის ღვინის მწარმოებელი 6 კომპანია: „გოცას ღვინოები“, „მელვინეობა ნიკა“, „ხოხბის ცრემლები“, „ჩვენი ღვინო“, „ორგო“ და „ამირან ვეფხვაძის ღვინო“

როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ელენე კიკნაძემ აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის პოტენციურად მზარდი საექსპორტო ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს და გეგმავს მომავალშიც.

„ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის ექსპორტის ერთ-ერთი პრიორიტეტული ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ტარდება მრავალი მარკეტინგული აქტივობა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 6 ქვევრის ღვინის მწარმოებელი კომპანია. ქართულ სტენდს უამრავი ღვინის პროფესიონალი და მოყვარული ესტუმრა, რაც ქართული ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობას მისცემს მოიძიონ ახალი იმპორტიორები“ — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ელენე კიკნაძემ.

ელის ფეირინგის (Alice Feiring) წიგნის „ღვინის სიყვარულისთვის: მოგზაურობა მსოფლიოს უძველესი ღვინის კულტურაში“ (*My Odyssey through the World's Most Ancient Wine Culture*') პრეზენტაციამ ღვინის პროფესიონალების დიდი ინტერესი დაიმსახურა.

მიმდინარე წლის ზაფხულში ჟურნალ ეწ ორკ თიმეს — ში გამოქვეყნდა ფრაგმენტები აღნიშნული წიგნიდან. ავტორი თავის გამოცემაში აღნიშნავს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა და მაღალი ხარისხის „ქარვისფერი“ ღვინის შემქმნელი, რომელიც დამსახურებულად ამაყობს 8 ათასწლიანი რთველის ისტორიით.

წიგნის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ალის ფეირინგმა მონაწილეების შეკითხვებს უპასუხა.

„მოველოდი, რომ ბევრი კითხვა ექნებოდათ აქაურებს და ასევე მოწვეულ სტუმრებს. მაგალითად იაპონელებს, რომლებიც აქ ღვინის კულტურის გასაცნობად ჩამოვიდნენ, თუმცა ყველაზე საინტერესო კითხვა იყო, თუ რას ვფიქრობდი ქართული ღვინის შესახებ. ქართულ ღვინოში დიდი სულიერებაა, მე ვფიქრობ ღვინო ქართველების სიამაყეა, ქართველებს დიდი რწმენა აქვთ, უფლის რწმენა, ყურძნის რწმენა, ღვინის რწმენა და რწმენა იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ქართული ღვინო ქართული სულის გამოძახილია. ძალიან მესიამოვნა, რომ ეს კითხვა დამისვეს და მომეცა შესაძლებლობა მესაუბრა ქართულ ღვინოზე“ — აღნიშნა ფეირინგმა., რომელიც საქართველოს მიმდინარე წლის გაზაფხულზე სტუმრობდა.

გამოფენა RAW WINE-ს სხვადასხვა ქვეყნიდან ასზე მეტი ღვინის მწარმოებელი და რამდენიმე ათასი სტუმარი დაესწრო. აღნიშნული გამოფენა ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ, სადაც ბუნებრივი, მაღალი ხარისხის და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან.

მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 235 ათასამდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 12%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

# ხელი შევუწყოთ ბავშვთა განვითარებას

სამოქალაქო განათლების სწავლებას დიდი ყურადღება ექცევა. იგი ხელს უწყობს მოზარდის დამოუკიდებელი აზროვნების ფორმირებასა და სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია მოსწავლეებში დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების განვითარება. ყვარლის №2 საჯარო სკოლაში დიდი ყურადღებით ვეკიდებით სამოქალაქო განათლების მიღებას, ვაკეთებთ პროექტებს, ვახორციელებთ შიდა და გარე ინიციატივებს. ამ მიმართულებით მოსწავლეთა განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ინტერვიუ წარმოადგენს, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებელი აზროვნება ჩამოიყალიბონ, საზოგადოების აქტუალურ საკითხებზე ყურადღება გაამახვილონ.

ჩემთვის ყველაზე საინტერესო თემას წარმოადგენს ბავშვთა განვითარება. მხოლოდ მშობლების აღზრდა არაფერია, რადგანაც მათ განვითარებაზე სხვა გარემო პირობებიც ახდენს გავლენას. დღესდღეობით კი ბავშვები დროის გარკვეულ ნაწილს ვერ ატარებენ მშობლებთან. ისინი დღის მეორე ნახევრამდე საბავშვო ბაღში იმყოფებიან, სადაც დაკავებულნი არიან სხვადასხვა აქტივობებით, სწავლობენ ლექსებს და ეჩვევიან ადამიანებთან და მათ თანატოლებთან ურთიერთობას.

იმისათვის, რომ ჩემი თემა უფრო საინტერესო ყოფილიყო მკითხველისათვის, გადავწყვიტე გავსაუბრებოდი და ინტერვიუ ამეღო ყვარლის ბაღების გაერთიანების უფროსისგან, ქალბატონ მაია სამიტაშვილისგან.

**— ქალბატონო მაია, თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში არაერთი პროექტი განხორციელდა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რა სიახლეები შეიტანეთ?**

— გამოვარჩევ იმას, რომ მთელი ბაღების მასშტაბით შეიცვალა 1974 წელს ნაყიდი ლეიბები, გაუმჯობესდა კვება. მენიუს დაემატა ხაჭაპური, კატლეტი, ორი თავი საკვები პლუს ვაშლი, ასევე ბაღის მუშაობა გახანგრძლივდა ერთი საათით.

**— განსაკუთრებით რომელ პროექტს გამოარჩევდით?**

— გამოვარჩევდი ბაღებში სამზარეულოს პროექტს, სადაც ყველა ბაღი აღიჭურვა ევრო სტანდარტის დონეზე.

**— აღსანიშნავია ისიც, რომ ბოგირის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობაც. რამდენ ხანში დასრულდება ის და რამდენ ბავშვზე იქნება გათვლილი?**

— ახალი საბავშვო ბაღი გათვლილი იქნება 75 აღსაზრდელზე, შენობა კი დასრულებული იქნება 3 დეკემბერს და უკვე იანვრიდან ბაღი სრულად იფუნქციონირებს.

**— ფუნქციონირებს თუ არა მცირემოსახლეობიან სოფლებში ბაღები?**

— კი, ფუნქციონირებს, გახსნილია ალტერნატიული ბაღები. ეს არის 9 საათიდან 2 საათამდე. მისი მიზანია, რომ ეთნიკური მოსახლეობის ბავშვები დაეუფლონ ქართულ ენას.

**— რამდენად დიდი ყურადღება ექცევა სანიტარიას?**

იმისათვის, რომ ბაღებში სანიტარია სრულად დაცული იყოს, შეძენილი იქნა „დეზობარიერები“. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა აღსაზრდელს აქვს გამოსაცვლელი ფეხსაცმელები, მშობლებისთვის გამოყოფილია სპეციალური ბახილები და ხალათები, ინახება საჭმლის სინჯები.

**— კიდევ გეგმავთ თუ არა უფროსი ჯგუფის აღსაზრდელების მიყვანას სკოლაში და რა მიზანი ექნება მას?**

— დიახ, ვგეგმავთ, მისი მიზანია ბავშვები გაეცნონ სკოლას. აღსაზრდელებს გასვლები ექნებათ გამგეობის შენობაში, ბიბლიოთეკაში და იუსტიციის სახლში.

**— რა აქტივობებით არიან ბავშვები დაკავებულები?**

— გამოყოფილია ეზოს აქტივობები.

**ნინი ბადურაშვილი,**
**ყვარლის №2 საჯარო სკოლის**
**მე-9 კლასის მოსწავლე,**
**სამოქალაქო კლუბის წევრი**

# როგორ მოვუაროთ ოთახის მცენარეებს ზამთარში

ყველაზე მეტად მცენარეებს არ უყვართ ნოემბერი, შემოდგომის ბოლო და ზამთრის დასაწყისი. მოკლე დღეები და შედარებით ცივი ამინდები შესაძლოა, ცუდად აისახოს მცენარეების მდგომარეობაზე.

საკვები ნივთიერებების მარაგი, რომელიც ზაფხულში დაგროვდა, შესაძლოა, მალე გახარჯოს მცენარემ და ამიტომ მათ დახმარება სჭირდებათ.

ყველაზე მთავარი ამ დროისთვის მცენარეებისათვის დღის განათების გახანგრძლივებაა. უნდა დავაყენოთ სპეციალური ხელოვნური განათება ან ჩვეულებრივი ნათურა და დაბნელებისთანავე ავანთოთ.

ბუნებრივი და ხელოვნური განათება, საერთო ჯამში, 10-12 საათი უნდა გრძელდებოდეს. იმისათვის, რომ მცენარეებმა კვირტების გაშლა შეძლონ, მათ პირდაპირი განათება სჭირდებათ და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს მიკროკლიმატური პირობებიც. ალოე, ასპიდისტრა, აუკუბა, დრაცენა, ლიმონი, ზიგოკაქტუსი, ფიკუსი, ციპერუსი და ბევრი სხვა მცენარე ტემპერატურულ ცვლილებებზე დიდად არ რეაგირებენ, ადვილად იტანენ სიცივესაც. თუმცა, ბეგონიები, ანტურიუმი, სენპოლია (უზამბარული იები და კიდევ ბევრი სხვა) სითბოს მოყვარულია და 15 გრადუსზე მაღალ ტემპერატურას საჭიროებენ.

გერანი, ჰორტენზია, კამელიები, ფურისულები, ვარდები, ფუქსია სიცივის მოყვარულები არიან, ციკლამენი (სპარსული ყოჩივარდა) საერთოდ ვერ იტანს ოთახის სითბოს.

მცენარეთა მოთხოვნილებები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა დაგვეღუპოს კიდეც. ცნობილია, რომ ფანჯრის რაფაზე, მინასთან ახლოს, ტემპერატურა 3-4 გრადუსით ნაკლებია ოთახისაზე. ასეთი კლიმატი კი კამელიის, ფურისულას, გერანის, ფუქსიის და ჰორტენზიისათვის გამოდგება.

მცენარეებს არ უყვართ ორპირი ქარი. ოთახის განიავების დროს, კარგი იქნება, თუ მათ ძველ გაზეთებს დააფარებთ. ფანჯრის რაფაზე მყოფი მცენარეებისათვის კი ასეთ დროს კარგი იქნება კარდონი.

ერთ-ერთი ფაქიზი პროცედურა მცენარეების მოვლის დროს მორწყვაა. ზედმეტ წყალს ზიანი მოაქვს, რადგანაც ქოთნის ძირში მიწა არ შრება და მჟავდება. ქვედა ფესვები ლპება და მცენარე ხშირად იღუპება.

მცენარე, რომელსაც ფოთლები დასცვივდა, მორწყვას იშვიათად საჭიროებს.





თუმცა, არ უნდა გამოშრეს. ეს წესი ეხება იმ მცენარეებს, რომლებიც ისვენებენ და ვეგეტაციის პერიოდი ჯერ არ აქვთ. მაგალითად, ბოლქვოვან ბეგონიებს, გლოქსინიებს და ციკლამენებს.

რაც შეეხება მორწყვისათვის გამოყენებულ წყალს, იგი ოთახის ტემპერატურის უნდა იყოს, სასურველია, ჭურჭელში ადრე დაყენებული. თბილი წყლის მიღების შემდეგ მცენარეები იზრდებიან, ცივი კი ფესვების მიერ ცუდად შეიწოვება და შესაძლოა, მცენარე დაიღუპოს კიდეც.

მორწყვისათვის არ გამოდგება ანადუღარი წყალი, რადგანაც მასში ჰაერი არ არის. ჭავლი ზემოდან ქოთნის კიდისკენ უნდა იყოს მიმართული. საჭიროა მორწყვის დროს ფრთხილად ვიყოთ, რომ მიწა არ გადავრეცხოთ. დატკეპნილი მიწა კი მორწყვის დროს უნდა გაფხვიერდეს.

დროდადრო ზოგიერთ მცენარეს ხელოვნური წვიმაც ჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ფესვები შეუხმეს ან გაუფუჭდეს. ასეთია მაგალითად, მონსტერა, სინგონიუმი, ანტურიუმი და სხვები. ხელოვნური წვიმის დროს კარგი იქნება მცენარის ძირს თუ დაფარავთ და ზედმეტი წყალი არ ჩავა ქოთანში.

საკვები მცენარეებს ზამთარშიც სჭირდებათ, თუმცა, შედარებით ნაკლებად, ვიდრე ზაფხულში. კვება სჯობს გახორციელდეს კვირტების გამოჩენიდან ყვავილობის დასრულებამდე.

გახსოვდეთ, რომ მცენარეები დაბალი კონცენტრაციის საკვებს უკეთ ითვისებენ. ამიტომ, არ არის სასურველი მაღალი კონცენტრაციის ნივთიერებებით კვება. ასეთი საკვები ზოგჯერ ფესვების დამწვრობასაც კი იწვევს.

# 23 ნოემბერი გიორგობაა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

გამორჩეოდა, როგორც მამაცი, გამოცდილი მეომარი და მალე იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წ.წ.) ყურადღებაც მიიპყრო. იმპერატორმა იგი დაიახლოვა, შეისწავლა, შეიყვარა და მხედართმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა. თავისი მეფობის პირველ ხანებში დიოკლეტიანე ქრისტიანებს არ სდევნიდა: ნება დართო მათ, აეშენებინათ ეკლესიები და ჩაეტარებინათ ღმრთისმსახურება. ნიკომიდიაში, იმპერატორის რეზიდენციაში, აიგეს უზარმაზარი ქრისტიანული ბაზილიკა, რომელიც რიათას კაცს იტევდა. ხელმწიფის ნათესავთა შორის ბევრი იყო ქრისტიანი. დიოკლეტიანე 15 წელს მყარად იჯდა რომის ტახტზე და მნიშვნელოვანი სამოქალაქო და სამხედრო რეფორმები გაატარა. მაგრამ მალე ერთ უბედურებას მეორე მოჰყვა: შიმშილი, ეპიდემიები და აჯანყებები არყევდნენ იმპერიას. ქურუმები შეაგონებდნენ იმპერატორს, რომ ღმერთების მოსამადლიერებლად და ქვეყნის განსარჩენად აუცილებელი იყო იმპერიაში მყოფი ყველა ქრისტიანის განადგურება. დიოკლეტიანე, ქვეყნის უზენაესი ქურუმი, თავადაც თვლიდა, რომ რომის დიდება განუყრელად იყო დაკავშირებული წარმართულ რელიგიასთან. რომის კეისრებს განსაკუთრებით სძულდათ ქრისტიანები, რადგანაც ისინი მათ, როგორც მიწიერ ღმერთებს, მსხვერპლს არ სწირავდნენ. იმპერატორს ჰყავდა ერთგული მეგობარი მაგნენტიოსი, რომელიც განსაკუთრებულად ემტერებოდა ქრისტეს მიმდევრებს. მეფემ და მაგნენტიოსმა განიზრახეს ქრისტიანების სრული განადგურება და სინკლიტის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება დევნის დაწყების შესახებ. დარბაზში, თათბირზე გამოვიდა იმპერატორი, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „ქრისტიანები არ უნდა არსებობდნენ". იმ ღამესვე დაწვეს ხალხით სავსე დედაქალაქის ეკლესია, ხოლო დიოკლეტიანემ წერილები მისწერა იმპერიის ყველა პროვინციის მმართველს, ერისმთავარსა და მხედართმთავარს, რომ თავიანთ საბრძანებელში თუ არ მოსპობდნენ ყველა ქრისტიანს ცეცხლითა და მახვილით, მათაც ისევე დასჯიდნენ, როგორც ქრისტიანებს. როგორც კი ამ წერილებმა თავის დანიშნულების ადგილებამდე ჩააღწია, დაიწყო ქრისტიანთა სამწყსოების მასობრივი და სასტიკი დევნა. მრავალმა ქრისტიანმა ვერ გაუძლო ტანჯვა-წამებას და უარყო ქრისტე.

და აი მაშინ, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავი უკუნეთ ღამეში, გამობრწყინდა ქრისტეს მხნე მხედარი, დიდმოწამე გიორგი, რომელმაც ზეციური საღმრთო სიბრძნით განაქარვა კერპთმსახურების საცთური და თავისი წამების ღვაწლით განანათლა ქრისტიანები. იგი არ შეაძრწუნა არც უსჯულო მეფის სისასტიკემ და არც ქრისტიანებისათვის განმზადებულმა მრავალგვარმა სატანჯველმა, არამედ ყოველგვარი დიდება და პატივი უარყო და უხრწნელი ცხოვრებისათვის განემზადა. მან თავისი ქონება და სიმდიდრე გლახაკებსა და დავრდომილებს განუყო და მათი ლოცვით განძლიერებული, მეფისა და მისი უგუნური თანამზრახველების წინაშე წარსდგა, აღიარა ქრისტე და ამგვარად მიმართა მათ, მეფეო, მე ქრისტიანი ვარ და მინდობილ ვარ ჭეშმარიტ ღმერთსა და ზეციურ მეუფეს, ქრისტეს. და აი, ვდგავარ მე თქვენ წინაშე და მიკვირს თქვენი შეცთომილება, რადგან არ იცით ჭეშმარიტი ღმერთი და დამბადებელი ყოველივესი. ამიტომ გთხოვთ, ნუ სცთებით ეშმაკის საცთურებით, რადგანაც თქვენი ღმერთი, რომელსაც ცა და ქვეყანა არ გაუჩენია, უნდა მოისპოს და გაქრეს. ხოლო - ჩვენ ქრისტიანები - თაყვანს ვსცემთ და გვწამს ერთი ღმერთი, შემოქმედი მამა და ერთი უფალი იესო ქრისტე, მისი მხოლოდშობილი ძე და სული წმინდა, ერთი სამება ღმრთეებით სრული და მეუფებით ერთი. ჩვენ ამქვეყანაზე ვცოცხლობთ მისი პატიოსანი სამსახურით და სიკვდილის შემდეგაც მოველით საუკუნო ცხოვრებას, ხოლო თქვენი კერპთმსახურება სასაცილოა და სიმართლესაც არ შეიცავს, რადგანაც დაგეუფლათ თქვენ ეშმაკი, რათა ყველა, ვისაც იგი გწამთ, წარსაწყმედელში ჩაგყაროთო. როდესაც მოისმინა ღმერთის სადიდებელი ჭეშმარიტი დამოწმება, განრისხებულმა მაგნეტიოსმა ჰკითხა: „ვინ ხარ შენ, ან რას წარმოადგენ, რომ ამდენი გაბედე ჩვენს წინაშე?" წმინდა გიორგიმ მიუგო: „ჩემი პირველი და პატიოსანი სახელი არის ქრისტიანი, ხოლო კაცთა შორის მეწოდება გიორგი". მაშინ ჯოჯოხეთის ურჩხულმა დიოკლეტიანემ მიმართა მას: „გიორგი, ვიცით ჩვენ შენი სიბრძნე და მამაცობა და პატივცემულიცა ხარ ჩვენგან, მაგრამ თუ არ შესწირავ მსხვერპლს აპოლონსა და სხვა ღმერთებს, უკეთურად და უპატიოდ მოკვდები, ხოლო თუ დაგვემორჩილები, ჩვენი მეგობრობით განიხარებ და მრავალ სიმდიდრესა და სიკეთეს მიემთხვევი, რადგან აწინდელი ამაო კადნიერება არ არის სასურველი შენთვის". წმ. გიორგიმ მიუგო: „მეფეო, ისმინე ჩემი და ჭეშმარიტი ღმერთი შეიცანი, რათა ღირსი შეიქმნე ცათა სასუფეველისა, ხოლო შენი მიწიერი ხელმწიფება დროებითია. შენი ტკბილი საუბარი ვერ შეარყევს ჩემში ჭეშმარიტი ღმერთის რწმენას, რადგან ჩემთვის ქრისტე ზეციური მეუფეა და ის მომანიჭებს დიდებასა და გამარჯვებას ეშმაკსა და მის მსახურებზე". მაშინ განრისხებულმა მეფემ ბრძანა მისი ძელზე ჩამოკიდება და ლახვრით დაკოდვა, სანამ მისი ნაწლავები მიწაზე არ დაცვივდებოდა, მაგრამ, როგორც კი მახვილი აძგერეს, ის ასხლეტილი ტყვიასავით იმწამსვე უკუიქცა, ხოლო სანუკვარ სხეულს მხოლოდ სისხლის ცვარი გადმოედინა, წმინდა გიორგიმ კი მადლობა შესწირა ღმერთს. განრისხებულმა დიოკლეტიანემ ბრძანა მისი საპყრობილეში წაყვანა, ხუნდებით დაბორკვა და მკერდზე ლოდის დადება. როდესაც ოთხმა კაცმა გაჭირვებით აიღო უზარმაზარი ლოდი და გულზე დაადო. სრულიად უვნებელმა გიორგიმ კვლავ სამადლობელი ლოცვა აღუვლინა უფალს.

მეორე დღეს ეშმაკმა დიოკლეტიანესა და მის მომხრეებს მეტი მზაკვრობა ჩაუნერგა გულში. მათ შიშველი გიორგი დააკრეს მბრუნავ ურმის თვალზე, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილები იყო აღმართული, ხოლო როდესაც ძლიერად დაატრიალეს ბორბალი, წმინდანის სხეული ნაკვეთ-ნაკვეთ დაიჭრა, მაგრამ ლოცვითა და ღმრთის სასოებით განმტკიცებული მოწამე მხნედ დაითმენდა საშინელ ტანჯვა-წამებას: პირველად ხმამაღლა მადლობდა უფალს, ხოლო შემდეგ, როგორც მძინარე, დადუმდა და გულში ლოცულობდა. დიოკლეტიანემ და მისმა მეგობრებმა იფიქრეს, მოკვდაო და ხმა აღიმაღლეს: „იხილეთ ყველამ, რამეთუ არ არსებობს სხვა ღმერთი გარდა აპოლონისა და პოსეიდონისა, ზევსისა და ჩვენი სხვა ღმერთებისა, სად არის გიორგის ღმერთი, რატომ არ მოვიდა და დაიხსნა იგი ჩვენი ხელიდან?" მეფის ბრძანებით მოწამე დაჭრილი და დაკუწული სხეულით დატოვეს ურმის თვალზე და თვითონ სასამხროდ წავიდნენ. იქნებოდა დილის 10 საათი, როდესაც ზეციდან მოისმა საშინელი ოხვრის ხმა, რომელიც ეტყოდა მას: „განმხნევდი, გიორგი, და განძლიერდი, რამეთუ მრავალი მიწამებს შენს გამო", და როგორც კი მცველებს ეს ხმა მოესმა, შეშინებულები გაიქცნენ. უეცრად გამოჩნდა უფლის ანგელოზი, გიორგი ჩამოიყვანა სატანჯველი ბორბლიდან, სრულიად განკურნა, ეამბორა და უთხრა: „გიხაროდეს გიორგი, განძლიერდი და გწამდეს იესო ქრისტესი, რომელიც მოგანიჭებს მოწამეობის სრულ გვირგვინს", ხოლო, როდესაც სიტყვა დაასრულა, წმინდა გიორგიმ მადლობა შესწირა უფალს: „აღგამაღლო შენ, ღმერთო ჩემო და მეუფეო ჩემო და ვაკურთხო სახელი შენი უკუნისამდე". და კვლავ „სლვანი ჩემნი წარმიმართენ მე სიტყვითა შენითა და ნუ მეუფლებინ მე ყოველი უშჯულოებაი". ამის შემდეგ ქრისტეს მოწამე მივიდა ბომონში, სადაც მეფე თავისი თანამზრახველებითურთ მსხვერპლსა სწირავდა აპოლონის კერპს და უთხრა მათ: „მიცანით მე და ირწმუნეთ ღმერთი, რომელსაც მე გიქადაგებთ და რომელმაც გამომიხსნა თქვენი ხელიდან და იმ სატანჯველთაგან, რომელიც თქვენ განამზადეთ ჩემს მოსაკლავად და აი თქვენ კი დიდად სცოდავთ, როცა მსხვერპლსა სწირავთ ცრუ ღმერთებს". გაოცებულმა მეფემ ვერ შეიცნო წმინდანი, რადგან მისი მსგავსი ვინმე ეგონა და სთხოვა, ეთქვა, თუ ვინ იყო. წმინდა გიორგიმ მიუგო: „მე ვარ გიორგი, მონა ქრისტესი, ხოლო თქვენ, რადგანაც მკვდარი გეგონეთ, ნაწილ-ნაწილ დაჭრილი, ბორბალზე მიმატოვეთ. და აი, მე მოვედი, რათა გიჩვენოთ, რომ ჩემს ღმერთს, რომელსაც თქვენ აყვედრეთ, შეუძლია სიკვდილისაგან დახსნა". ამგვარი დიდი სასწაულის ხილვისა და ჭეშმარიტ სიტყვათა მოსმენის შემდეგ მეფის მხედართმთავრებმა ანატოლიმ და პროტოლეონმა თავიანთი სახლეულობითურთ ირწმუნეს ღმერთი და აღიარეს: „მხოლოდ ქრისტიანთა ღმერთია ჭეშმარიტი". როგორც კი ესმა ეს დაწყევლილ მეფეს, ბრძანა მათთვის თავის მოკვეთა, ხოლო ისინი ლოცულობდნენ: „უფალო, ღმერთო ჩვენო იესო ქრისტე, შეივედრე ჩვენი სულები მშვიდობით და გვამყოფე შენი მეუფების ნათელში, ხოლო ჩვენი მცირედი აღსარება ჩაგვითვალე შენდამი ჭეშმარიტ სარწმუნოებად და ცოდვების გამოსასყიდად" და ასეც აღესრულნენ ღმრთის დიდებასა და გალობაში.

როდესაც დედოფალ ალექსანდრას წმინდა გიორგის დიდი და საკვირველი საქმენი ესმა, ირწმუნა უფალი იესო ქრისტე, წარსდგა მეფესთან და კადნიერად განუცხადა: „მე ქრისტიანი ვარ და გიორგის ღმერთის მხევალი". ჰკითხა მას მეფის მეგობარმა მაგნეტიოსმა: „გვითხარი ჩვენ დედოფალო, რისთვის იწამე შენ ქრისტე და უარყავი ღმერთები?" მაშინ ჭეშმარიტი ღმრთის სარწმუნოებით განმტკიცებულმა დედოფალმა მიუგო მათ: „რადგან ვისურვე წარმატება და დავგმე სულიერი ნაკლულევანება". მეფე განრისხდა და ბრძანა, რათა წმინდა გიორგი ახლად დამბალ, მხურვალე კირის ორმოში ჩაეგდოთ და მცველები დაეყენებინათ. სამი დღის შემდეგ კი უბრძანა მხედრებს, ამოეკრიფათ მკვდრის ძვლები და მიწაში დაემარხათ. მას ეშინოდა, რომ ქრისტიანებს პატივი არ ეცათ მისი სხეულისთვის, რადგან იცოდა მათი ჩვეულება მოწამეთა განდიდებისა. გაოცებულმა მხედრებმა გიორგი სრულიად უვნებელი იხილეს და იწამეს იესო ქრისტე. ერის დიდმა სიმრავლემ და ასევე იქ მისულმა დედოფალმა ალექსანდრამაც აღიარეს ჭეშმარიტი ღმერთი და ერთხმად ღაღადებდნენ: „დიდია ქრისტიანთა ღმერთი, რომელიც დაიხსნის თავის მონებს გასაჭირისაგან". ხოლო მეფემ წინ დაისვა წმინდა გიორგი, შემოიკრიბა ირგვლივ თავისი ოჯახის წევრები და ჰკითხა წმინდანს: „გვითხარი გიორგი, ვინ გაგაცოცხლა შენ?" წმინდა გიორგიმ მიუგო: „მეფეო, კიდეც რომ გითხრათ, არ დამიჯერებთ, მაგრამ მე არ დავფარავ, რომ იესო ქრისტემ, ღმერთის ძემ, დამიცვა მე ყოველგვარი სატანჯველისაგან და იგია ეშმაკის მახისაგან ყველას დამხსნელი, ვინც კი ვედრებით მოუხმობს მის წმინდა სახელს". მაგრამ გამძვინვარებულმა მეფემ, ჭეშმარიტების სანაცვლოდ, უსამართლობა და ბოროტება მიაგო მოწამეს. მან გახურებული ლურსმნებით შეჭედილი რკინის სანდლები ჩააცვა გიორგის და უბრძანა ერბინა, მაგრამ, რადგან სიარული ვერ შეიძლო, ძალით ათრევინა. ის კი საკუთარ თავს მხნედ შეუძახებდა: „ისწრაფე, გიორგი, ისწრაფე იმ ხვედრისაკენ, რომელიც შენთვის არის განმზადებული". და სთხოვდა უფალს: „უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო, იესო ქრისტე, შენ ხარ მწუხარეთა ნუგეშინისმცემელი და შენ აძლევ მოთმინების უნარს ყველას, ვინც შენი სახელისათვის იგვემება. ნუ გამწირავ, არამედ მომმადლე სიკვდილამდე მოთმინება, რათა არა სთქვას მტერმა: „სადა არს ღმერთი იგი მისი". როდესაც ლოცვა დაასრულა, ხმა მოესმა ზეციდან: „ნუ გეშინია, გიორგი, მე შენთანა ვარ". და მყის გამოუჩნდა შეწევნა უფლისაგან და სრულიად განიკურნა. უგუნურმა მეფემ კვლავ ბრძანა მისი საპყრობილეში ჩასმა, ხოლო მეორე დღეს სამსჯავროზე მოიხმო და უთხრა: „როდემდე გაუძლებ გრძნეულებით ამ სატანჯველებს და შეინარჩუნებ მხნეობას? დამემორჩილე და შესწირე მსხვერპლი ღმერთებს". მაგრამ წმინდა გიორგიმ ასე მიუგო: „მე ჩემი ღმერთის შეწევნით მოვითმენ ყოველგვარ სატანჯველს, და აი თქვენს წინაშე ვდგავარ ცოცხალი და უვნებელი, ხოლო თქვენ მოწამე ხართ ჩემი ღმერთის ძალისა". მეფე განრისხდა და ბრძანა, რათა შეუბრალებლად ეცემათ საქონლის ძარღვებისაგან დამზადებული მათრახით, ხოლო როდესაც უმოწყალოდ გვემეს, კვლავ შესთავაზეს კერპებისთვის მსხვერპლის შეწირვა, მაგრამ გიორგიმ მიუგო: „მე ცოცხალ ღმერთს ყოველდღე ვწირავ ქება-დიდების მსხვერპლს და ნეტავი თქვენც დამიჯერებდეთ და ჩემთან ერთად თაყვანს სცემდეთ ჭეშმარიტ ღმერთს". მაგნეტიოსმა უთხრა: „თუ გინდა, რომ შენი ღმერთი ვიწამოთ, გვიჩვენე სასწაული და გააცოცხლე ერთი მკვდართაგანი, რომლებიც ჩვენ წინ სამარხებში არიან". წმინდა გიორგიმ უპასუხა: „ღმერთს, რომელმაც არა არსისაგან შექმნა ცა და ქვეყანა, შეუძლია ამ მკვდრის გაცოცხლებაც, მაგრამ თქვენ ცთუნებული ხართ ეშმაკისაგან და კიდეც რომ აღდგეს მკვდარი, თქვენ მაინც არ იწამებთ, ამიტომაც, მხოლოდ აქ მყოფი ერისათვის შევთხოვ კაცთმოყვარე უფალს, რომ მომმადლოს ეს სასწაული". წმინდა გიორგიმ მუხლი მოიდრიკა, ილოცა, ხელები აღაპყრო ზეცისკენ და უფალს შეევედრა მკვდრის აღდგინება. ხოლო, როდესაც ლოცვა დაასრულა, ქვეყანა შეიძრა, საფლავის კარი გაიღო და გამოვიდა გაცოცხლებული მკვდარი. იგი მივიდა წმინდა გიორგისთან, დავარდა მის ფეხებთან და შეევედრა მას: „შემიწყალე მე, მონაო ღმრთისა მაღლისაო და მომანიჭე მე ნათელი ცხოვრებისა, ბეჭედი ქრისტესი". წმინდანმა უთხრა მას: „უკეთუ გწამს ქრისტე, რომელიც აღადგენს მიცვალებულებს, შენც ცხონდები". ხოლო მან უპასუხა: „მე მწამს ჭეშმარიტი ღმერთი და მისი მხოლოდშობილი ძე, იესო ქრისტე, რომელმაც მკვდრეთით აღმადგინა".

მეფეს გაუკვირდა, ბოროტი სარწმუნოებით აღივსო და ჰკითხა, თუ ვინ იყო იგი სიკვდილამდე და როდის მოკვდა. მან უპასუხა: „მე ვიყავი კერპთა მღვდელი და ქრისტეს გამოცხადებაზე ადრე მოვკვდი, ხოლო სიკვდილის შემდეგ კი სხვა კერპთმსახურებთან ერთად უშრეტ ცეცხლში ვიტანჯებოდი". მაშინ მეფემ წარმოსთქვა: გიორგი გრძნეულია და რაღაც სული ამოგვიყვანა, რომ გვაცდუნოსო. ქრისტეს მოწამემ მიუგო: „როდემდე უარყოფ, მეფეო, და არ ირწმუნებ ჭეშმარიტ ღმერთს, იცოდე რომ ეშმაკს არ შეუძლია ქრისტეს სახელის მოსმენა და როგორ გააკეთებს იმას, რაც შენ იხილე და გესმა"? განმძვინვარებულმა მეფემ ბრძანა მისი საპყრობილეში ჩაგდება, მაგრამ ახლადმოქცეული ქრისტიანები ქრთამს აძლევდნენ საპყრობილის მცველს და ღამ-ღამობით მასთან შედიოდნენ, ხოლო მოწამე მათ სარწმუნოებას ასწავლიდა, სნეულებს კურნავდა, ბრმებს თვალს უხელდა და მრავალ სასწაულს ახდენდა.

იყო ერთი მიწის მუშა, სახელად ღლუკერი, რომელსაც მოუკვდა მარჩენალი ხარი. იგი მივიდა საპყრობილეში, დაემხო წმინდა გიორგის წინ და სთხოვა ხარის აღდგინება.

მოწამემ უთხრა: „თუ გწამს ჩემი ღმერთი, შენი ხარი გაცოცხლდება", საწყალმა კაცმა უპასუხა, რომ სწამდა. მაშინ გიორგიმ უთხრა: „წადი და იხილე, შენი ხარი ცოცხალია". კაცი სახლში დაბრუნდა და თავისი ხარი გაცოცხლებული დახვდა. ღლუკერი არ მიემსგავსა ცხრა უმადლო კეთროვანს, არამედ მიემსგავსა მეათე სამარიტელს, მკურნალთან დაბრუნდა მადლობის სათქმელად და ხმამაღლა აღიარებდა ქრისტეს ჭეშმარიტ ღმერთად. როგორც კი მეფის ახლობლებმა ეს გაიგეს, შეიპყრეს იგი და მეფეს მიჰგვარეს. მან კი არც გამოიძია, არამედ ბრძანა ნაჭერ-ნაჭერ დაეკუწათ, ხოლო, როდესაც ჭრიდნენ, იგი ხმამაღლა ლოცულობდა: „ღმერთო ჭეშმარიტო, ნუ უარმყოფ მე შეურაცხს, რადგან მწამხარ შენ - მამა, ძე და სული წმინდა, მაგრამ მეშინია, რადგანაც არ მოვნათლულვარ და გევედრები შენ, ქრისტე, ეს სისხლის დათხევა შემირაცხე ნათლისღებად". უეცრად ზეციდან ხმა მოესმა: მოდი ჩემთან სიხარულით, რადგანაც სრული ხარ და დასრულდა შენი წამება. და დაიმკვიდრა ნეტარმა სასუფეველი. მეფის ყურამდეც მიაღწია, რომ ბევრი მიდიოდა საპყრობილეში გიორგისთან და ბრძანა სასწრაფოდ მისი მოყვანა. მაშინ მაგნეტიოსმა მეფეს ურჩია, რომ არ განრისხებულიყო, არამედ სიმშვიდითა და დაპირებებით ეცთუნებინა გიორგი, რომელიც საპყრობილიდან მომავალი, ფსალმუნებს გალობდა და უფალს შეწევნასა სთხოვდა. როდესაც გიორგი მეფის წინაშე წარსდგა, დიოკლეტიანემ ვედრება დაუწყო, რომ კერპებისათვის მსხვერპლი შეეწირა და ჯილდოდ დიდძალ სიმდიდრესა და პატივს აღუთქვამდა. ხოლო მიყენებული ტანჯვისათვის პატიებას ითხოვდა. წმინდა გიორგიმ მიუგო მას: „რადგან ჩემს წინაშე შეინანე და შენთვის სიხარულის მომნიჭებელია, რომ კერპებს შევწირო მსხვერპლი, მოდი და წავიდეთ შენი ღმერთების სამყოფელში". მეფემ გაიხარა და თავის სახლობასა და მთელ თავის მხედრობას უბრძანა, წასულიყვნენ ტაძარში და ყველასათვის ეხარებინათ, რომ აპოლონმა სძლია ქრისტიანთა ღმერთს. როგორც კი ნეტარი ტაძარში შებრძანდა, სამარისებური სიჩუმე გამეფდა, ხოლო ქრისტეს მოწამე წარსდგა აპოლონის კერპის წინაშე და მიმართა მას: „შენ ხარ ღმერთი და გშვენის რომ კაცნი გემსახურებოდნენ?" ეშმაკმა, რომელიც კერპში იყო ჩაბუდებული, ხმა ამოიღო და თქვა: „არც მე ვარ ღმერთი და არც ესენი, რომლებიც ჩემთან არიან, არამედ, მხოლოდ ქრისტიანთა ღმერთი და მისი მხოლოდშობილი ძე იესო ქრისტეა ჭეშმარიტი ღმერთი, რომელმაც დაბადა ცა და ქვეყანა, ხოლო ჩვენ, მისი ანგელოზები ვიყავით და როცა უარვყავით, ეშმაკნი გვეწოდა და მას შემდეგ ვაცდუნებთ კაცთა მოდგმას". წმინდა გიორგიმ უთხრა მათ: „თუ ღმერთები არა ხართ, როგორ გაბედეთ აქ მოსვლა, როცა მე, ქრისტეს - ჭეშმარიტი ღმერთის - მონა აქ ვიმყოფები" და ამ სიტყვასთან ერთად გადასახა ჯვარი. უეცრად შეიქმნა დიდი შფოთი, გოდება, და გლოვა ეშმაკთა, და ყველა კერპი, რომელიც ტაძარში იმყოფებოდა, ერთბაშად გადმოვარდა და დაიმსხვრა. როგორც კი საკერპოს ბილწმა ქურუმებმა ეს დაინახეს, შეიპყრეს წმინდა გიორგი და უთხრეს მეფეს: „მოჰკალი ეს გრძნეული, მეფეო, რადგან თავისი მისნობით ხალხი მოატყუა და ღმერთებიც შეჰმუსრა". განრისხებულმა მეფემ უთხრა მას: „ბოროტო და ყოველგვარი გრძნეულებით აღსავსევ, შენ არ შემპირდი, რომ ღმერთებს შესწირავდი მსხვერპლს?" წმინდა გიორგიმ მიუგო: „შე ბრმავ და უკეთურო, ვერა ნახე, როგორც კი ჩემი ღმერთის, იესო ქრისტეს მიმართ ლოცვა დავასრულე, მაშინვე დაემხო ყველა თქვენი ცრუ ღმერთი, რადგან უსულო კერპები არიან და უგულისხმოებს აცდუნებენ, ხოლო ქრისტეს მონები ჭეშმარიტი ღმერთის სახელით შემუსრავენ მათ".

როდესაც დედოფალმა ალექსანდრამ კერპების შემუსრვა შეიტყო, მსწრაფლ მივიდა მეფესთან და შესძახა: „უძლეველი მხედრის გიორგის ღმერთო, ნუ გამიხსენებ უმეცრებით ჩადენილ ცოდვებს, უფალო, ღმერთო, გაიხსენე ჩემი უკანასკნელი მოქცევა შენდამი და ადგილი მიმიჩინე ქრისტიანებთან და შენს ერთგულ მონა გიორგისთან". გამძვინვარებულმა მეფემ უკანასკნელად მიმართა წმინდა გიორგის: „უკეთურო გიორგი, შენ შეაცდინე დედოფალი და მიზეზი გახდი მისი დაღუპვისა, ამიტომ ვბრძანებ, რომ მახვილით თავი წარგეკვეთოთ შენც, გალილეველთა მღვდელსა და დედოფალსაც". მხედრებმა მაშინვე წაიყვანეს ისინი ქალაქგარეთ. სიხარულით აღვსილი დედოფალი გულში გამუდმებით ლოცულობდა, ხოლო თვალები ზეცისაკენ ჰქონდა აღპყრობილი. მან გზად ჩამოისვენა და მშვიდობით მიაბარა სული უფალს, ხოლო წმინდა გიორგიმ, როგორც კი ადგილზე მიიყვანეს, სთხოვა მათ, რომ ლოცვის დრო მიეცათ. მიაპყრო თვალები ზეცას, აღაპყრო ხელები, ამოიოხრა და თქვა: „უფალო, ღმერთო ჩემო, რომელიც არსებობ საუკუნეებზე უწინარეს, რომლისკენაც მოვილტვოდი ჩემი სიყრმიდან, რომელი ხარ ქრისტიანთა სასოება, და რომლის არსებობასაც არა აქვს დასასრული, ისმინე ჩემი და როგორც მომეცი მოთმინება და სრული მოწამეობა, ასევე შეიწყნარე ჩემი სული და განარიდე ეშმაკთა სულებისაგან და დაადგინე შენს სათნომყოფელებთან ერთად. აპატიე ამ წარმართებს ის ბოროტება, რაც უყვეს შენს მონებს და გაუნათლე მათ გულები ჭეშმარიტების შესამეცნებლად. უფალო, მოუვლინე შეწევნა ყველას, ვინც კი უხმობს შენს სახელს და დაამკვიდრე მათ შორის შენი შიში, სიყვარული და შენი წმინდანების სურვილი, რათა აღასრულებდნენ მათ დღესასწაულებსა და ბაძავდნენ მათ სარწმუნოებას, რომ მათთან ერთად ღირსნი გახდნენ ზეციურ სასუფეველში დამკვიდრებისა. მოხედე, უფალო, ჩემს სიმდაბლეს და მიეცი მადლი ჩემი სხეულის ნაწილებს, რომ ყოველმა კაცმა, რომელიც სარწმუნოებით შეხედავს ან შეეხება, მიიღოს მადლი, კურთხევა და ცოდვათა შენდობა. ხოლო თუ ვინმე გასაჭირში იყოს და გამიხსენოს მე, იხსენი ყოველგვარი განსაცდელისაგან. უფალო ღმერთო, ვინც მოიხსენოს ჩემი წამების ღვაწლი, მიეცი მადლი, მიუტევე მათ ყოველგვარი შეცოდებანი და განკურნენ მათი სნეულებანი, რადგან მხოლოდ შენ იცი, მათი მაცთური მტრის სივერაგე, რომელიც ფეხქვეშ შემუსრე და რომლებიც წაიკითხავენ ან მოისმენენ ჩემს წამებას, განწმიდე ბიწიერებისაგან". და როგორც კი ლოცვა დაასრულა, უფალი გამოეცხადა და უთხრა: „მოდი ჩემო სარწმუნო მონაო და შედი მამაჩემის ზეციურ სამკვიდრებელში. ხოლო რაც მთხოვე, აღგისრულებ და ვინც შენს სახელს მოიხსენებს, ვიხსნი ყოველგვარი განსაცდელისაგან". და როდესაც სიტყვა დაასრულა, ამაღლდა ზეცად. მაშინ წმინდა გიორგიმ მოიდრიკა მუხლი და მიუშვირა ქედი. ჯალათმა დაჰკრა მახვილი და დასრულდა დიდმოწამის წამება 303 წელს, 23 აპრილს, პარასკევ დღეს, დილის 7 საათზე.

ანდერძის თანახმად წმინდა გიორგის ცხედარი დაკრძალეს პალესტინაში, ქალაქ რამალაში და იგი შეიქმნა კურნებებისა და სასწაულების წყაროდ. კონსტანტინე დიდის მეფობის დროს, იერუსალიმის მახლობლად, ქალაქ ლიდში (დიოსპოლისი) წმინდა გიორგის სახელზე ააშენეს დიდი ტაძარი და მისი წმინდა ნაწილები საზეიმოდ იქ გადაასვენეს.წმინდა გიორგის სასწაულების რიცხვი აურაცხელია, ყოველი ქვეყანა და ყოველი ეკლესია აღსავსეა მისი საკვირველებითა და წყალობით. წმინდა გიორგის მიერ ულმრთოთა შემუსვრაზე მოგვითხრობს შემდეგი სასწაული: პალესტინაში, წმინდა გიორგის დედულეთის დაბას, სადაც დასვენებულია წმინდანის ყოვლადწმიდა ნაწილები, სარკინოზთა ჯარი შემოესია საბრძოლველად. როცა იქ მყოფნი დაატყვევეს, კარვები გაშალეს და იწყეს ლხინი და განცხრომა. უგუნურებმა ტაძრის საკურთხეველში, სადაც ძლევაშემოსილი და წამების ღვაწლით შემკული მოწამის წმიდა ნაწილები იყო დასვენებული, ხელი მიყვეს ღორმუცელობას, ლოთობას, ძილს, თამაშსა და ხუმრობას. შემდეგ მოზიდეს ისრები და სროლა დაუწყეს იქ დაბრძანებულ დიდებულ ხატებს. ერთმა ტყვეთაგანმა გაუბედა მათ და უთხრა: „არ შეიძლება ასეთი მკრეხელობა წმინდანთა მიმართ, რადგან მოწამე, ვისი სახელითაც პატივცემულია ეს ტაძარი, იყო უძლეველი მეომარი და დღემდე ამხილებს თავის მოწინააღმდეგეებს და ულმობლად მუსრავს მათ". უსჯულო მხედრებმა უწესოდ გაიცინეს და თქვეს: „გაგვაგებინეთ ვინ არის ასეთი?" ხოლო იგი უჩვენებდა წმინდა გიორგის ხატს. ბრწყინვალედ გამოსახულსა და მეომრის ჯაჭვის პერანგით შემოსილ დიდმოწამეს წელზე ოქროს ქამარი ერტყა, ხოლო ხელში საბრძოლო შუბი ეჭირა და თავზარდამცემი სანახავი იყო თავისი დიდებულებით. ერთმა მათგანმა მოზიდა ისარი და წმიდანის ხატს სტყორცნა, მაგრამ ისარი უეცრად უკუიქცა, მტყორცნელს გული განუგმირა და ბეჭებამდე გაერჭო. უზადრუკმა იმწამსვე სული დალია, ხოლო დანარჩენმა მხედრებმა დაინახეს წმინდა გიორგის ხატი, რომელსაც ხელი გაეშალა და ხოცავდა მათ. თავზარდაცემული მეომრები გაიქცნენ, ხოლო ვინც გადაურჩა მახვილით მოსვრას, მიუთხრობდნენ წმინდა გიორგის უძლეველ ძალაზე.



გაგრძელება მე-4 გვ. -ზე



# 23 ნოემბერი გიორგობაა

დასაწყისი მე-3 გვ.-ზე

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ქვეყანაზე ბრწყინავდა წმინდა გიორგი და ეს იყო მის წამებამდე, ქალაქ ლასიაში მეფობდა უკეთური, უსჯულო და კერპთმსახური სელინოსი, რომელიც ქრისტიანების მიმართ შეუბრალებელი და ულმობელი იყო. ამიტომაც, თავისი ბოროტი საქმეების შესაფერად მიეგო კიდეც უფლისაგან. ქალაქის მახლობლად იყო ტბა, რომელშიც გამოჩნდა ბოროტი ვეშაპი, იგი ყოველდღე ამოდიოდა წყლიდან და მუსრს ავლებდა მოსახლეობას. მრავალჯერ სცადეს მისი მოკვლა, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან ძალიან მძვინვარე იყო. ქალაქის მცხოვრებლებმა დაადანაშაულეს მეფე, რომ იგი არ ეძიებდა ხსნის გზას თავისი ხალხის გადასარჩენად. ამგვარი მხილებით დამფრთხალმა მეფემ ქალაქის მცხოვრებლებს უბრძანა, თავიანთი შვილები რიგ-რიგობით მიეცათ მხეცისთვის შესაწირად და როდესაც ჯერი მასზე მიდგებოდა, ისიც შესწირავდა თავის ერთადერთ ასულს. მართლაც, მეფის განკარგულების თანახმად, ყოველი კაცი იძულებული გახდა გაემეტებინა თავისი შვილი, ვიდრე მეფის ასულის რიგიც არ დადგა. დარდისაგან შეწუხებულმა მამამ ძვირფასი სამოსით მორთო სასიკვდილოდ განწირული თავისი ერთადერთი ასული და მოთქმითა და გოდებით უკანასკნელი თხოვნით მიმართა თავის ქვეშევრდომებს, რომ არც ოქრო-ვერცხლს დაინანებდა, არც საკუთარ მეფობას, ოღონდ მისი ქალიშვილისთვის აეცილებინათ ეს მძიმე ხვედრი, მაგრამ არავინ უთანაგრძნო, რადგან თვით მის მიერ იყო ეს წესი დადგენილი. სელინოსმა, როცა იხილა მათი სიჯიუტე, მისცა მათ თავისი ასული. ხოლო კაცთმოყვარე და მრავალმოწყალე ღმრთის განგებულებით, სწორედ იმ დროს, როდესაც სამსხვერპლოდ გამზადებული ქალი ელოდა ტბიდან ვეშაპის გამოსვლას, უფალმა ინება, რომ იქ გაევლო კაბადუკიისკენ მიმავალ წმინდა გიორგის. მან ტბიდან წყალი შეასვა ცხენს და როდესაც იხილა თვალცრემლიანი ქალიშვილი, ტირილის მიზეზი ჰკითხა. ქალმა სთხოვა უცნობ ჭაბუკს, სწრაფად გასცლოდა ამ საშიშ ადგილს, მაგრამ წმინდა გიორგიმ მტკიცედ განუცხადა, რომ იგი მაინც არ მიატოვებდა, თუნდაც მასთან ერთად მომკვდარიყო, მაშინ ქალმა მოუთხრო თავისი გასაჭირის შესახებ. წმინდა გიორგიმ ჰკითხა ქალს, თუ რომელ ღმერთს მსახურებდნენ მამამისი და მისი ქვეშავრდომები. „აპოლონს, ჰერაკლეს, სკამანდროს და დიდ ღმერთს არტემიდას" - უპასუხა ქალმა. როდესაც წმინდანმა გაარკვია მათი აღმსარებლობის წარმართული ბუნება, დაამშვიდა ქალი, რომ ჭეშმარიტი ღმერთის სახელით იხსნიდა მას ბოროტი მხეცისაგან. მან მაცხოვრის მიმართ აღავლინა ლოცვა, რათა მხეცის დამარცხების ძალა მიენიჭებინა მისთვის და მიიღო კიდეც პასუხად უფლისაგან „შესმენილ იქნა შენი ვედრებაი, გიორგი, ჰყავ რაიცა გნებავს, მე შენთანა ვარ". უეცრად შეიძრა ლერწმოვანი. შიშით შეძრული ქალი მაინც ჭაბუკის გადარჩენას ცდილობდა და სთხოვდა იქიდან წასვლას, მაგრამ წმინდა გიორგი ვეშაპის მოსაკლავად გაეშურა, გამოსახა მასზე ჯვარი და თქვა: „უფალო, ღმერთო, გადააქციე ეს მხეცი ჩემს მორჩილად" და როგორც კი ეს წარმოსთქვა, სულიწმიდის შეწევნითა და მისი ლოცვით ბოროტი ვეშაპი წმინდანის ფეხებთან დაეცა. წმინდა გიორგიმ ქალს უბრძანა, შემოეხსნა თავისი სარტყელი, ყელზე მოება მხეცისთვის და ისე წაეყვანა ქალაქში. ამ სანახაობით დამფრთხალი ქალაქის მცხოვრებნი წმინდანმა დაამშვიდა და უთხრა: „იწამეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ყოვლად ძლიერი ჭეშმარიტი ღმერთი, და მე მოვკლავ ამ ვეშაპს". მაშინ შეჰყვირეს მეფემ და მისმა ქვეშავრდომებმა: „გვწამს მამა, ძე და სული წმიდა". წმინდა გიორგიმ იშიშვლა ხმალი, მოკლა ვეშაპი და ქალიშვილი მამას დაუბრუნა. ქალაქის მცხოვრებლები დაემხნენ წმინდანის წინაშე და ჭეშმარიტი ღმერთი განადიდეს, ხოლო მაშინ წმინდა გიორგიმ მოიწვია ეპისკოპოსი ალექსანდრე და ნათელი სცა მეფეს, დიდებულებსა და ერის დიდ სიმრავლეს. თხუთმეტი დღის განმავლობაში ორმოცდახუთი ათასი კაცი მონათლა. მეფემ კი ჭეშმარიტი ღმრთის სადიდებლად ძვირფასი ტაძარი ააშენა. როდესაც ტაძარი დასრულდა, წმინდანი შევიდა საკურთხეველში და აღმოადინა საკურნებელი წყარო.

სწორედ ამ სასწაულის აღსანიშნავად გამოსახავენ ხატებზე წმინდა გიორგის ცხენზე მჯდომარეს შუბით ხელში, რომლითაც საზარელ მხეცს კლავს. დრაკონის მლახვრავი წმინდა გიორგის სახე არის ქრისტეს ეკლესიის ბოროტებასა და ცოდვაზე გამარჯვების სიმბოლო, ხოლო ხატი, რომელზეც იგი დიოკლეტიანეს კლავს, არის სიმბოლო ეკლესიის გამარჯვებისა მის ხილულ მტრებზე, მათზე, ვინც ქრისტიანობას ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა და ცდილობდა ჯალათის ხელით ადამიანთა გულებიდან ამოეგლიჯა ქრისტეს სახელი.

წმ. გიორგის განსაკუთრებულ თაყვანისცემას საქართველოში ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში დაედო საფუძველი. ძველთაგანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, გეორგიას უწოდებდნენ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონის ცნობით წმინდა გიორგი კაბადოკიელი მესხი იყო, ხოლო წმინდა არსენ იყალთოელის მოწმობით, წმინდა ნინო - საქართველოს განმანათლებელი, დიდმოწამის ბიძაშვილი იყო და ქართველმა ერმა მისგან შეიტყო წმინდა გიორგის მოწამეობის შესახებ. სავარაუდოა, რომ პირველი ტაძარი წმინდანის სახელზე ბოდბეში, წმინდა ნინოს თაოსნობით აიგო (ბოდბის მონასტრის მთავარი ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა). მისი სახელობის ტაძრები აგებულია არა მარტო ქალაქებსა და სოფლებში, არამედ კლდეებზე, მთის მწვერვალებზე და მიუვალ ადგილებში, რომელთა კედლებს ამშვენებენ მისი ცხოვრებისა და სასწაულების გამომსახველი უძველესი ფრესკები. წმინდა გიორგის სახელზე აგებული უამრავი ტაძრიდან ერთ-ერთი უძლიერესთაგანია შავნაბადას წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის შესახებ არსებობს გადმოცემა, რომ ერთხელ, უსჯულო მტრის შემოსევისას ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი, დაბანაკებული იმ მთის ძირში, რომლის წვერზეც წმინდა გიორგის ეკლესია იყო აგებული, გულმხურვალედ ევედრებოდა წმინდა მოწამეს მოსალოდნელ ბრძოლაში შეწევნას. ხოლო გამთენიისას ყველამ იხილა მხედარი, რომელიც შურდულივით დაეშვა მთის წვერიდან, ეს იმდენად შთამბეჭდავი სანახავი იყო, რომ თავზარდაცემული მტერი გაიქცა. გამხნევებულმა ქართველმა მეომრებმა ადვილად დაამარცხეს მტრის განახევრებული ლაშქარი. გამარჯვების შემდეგ სიმამაცით გამორჩეული მეომარი, რომელიც მთის წვერიდან დაეშვა, მხედართმთავარმა შავი ნაბდით დაასაჩუქრა. როდესაც ყველანი სამადლობელი პარაკლისის გადასახდელად ტაძარში შევიდნენ, შავნაბდიანი მხედარი სულ მთლად გაბრწყინდა და ყველამ შეიცნო წმინდა დიდმოწამე გიორგი. მას შემდეგ ამ მთას შავნაბადას მთას უწოდებენ, ხოლო მთის წვერზე აშენებულ ეკლესიას, შავნაბადას წმინდა გიორგის ეკლესიას.

ასევე, მოწამის ხილულ შეწევნაზე დიდგორის ბრძოლაში, მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის მემატიანე: „რამეთუ ხელი მაღლისაი შეეწეოდა და ძალი ზეგარდამო ჰფარვიდა მას და წმიდა დიდმოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა-უძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედა-ზედა მოწევნილთა უშჯულოთა წარმართთა, რომელ თვით იგი უშჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისასა". ხოლო ქართველი ერისათვის ეს დღე ბოროტზე უფლის ბრწყინვალე გამარჯვების სიმბოლოდ იქცა. წმინდა გიორგი ითვლება მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად. მას ევედრებიან აგრეთვე დემონური ძალებისაგან გამოხსნას. წმინდა გიორგი ყველაზე უფრო პატივცემული წმინდანია საქართველოში. იგი ქართველთა მფარველი და სასო, მათი ფარი და მახვილია. ღმრთის განგებით ქართველი ერი უშუალო მფარველობისათვის ჩაბარდა წმინდა გიორგის, ამიტომაც წმინდა გიორგის დაუჯდომლის იკოსს დაემატა მუხლი: „გიხაროდენ უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო".

# ვულოცავ!

## ფაქიზი სულის ადამიანი

ყვარლის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგს, ეთერ ხარებაშვილს როდესაც პირველად შევხვდი, გაცნობისთანავე დადებითად განვეწყე და ჩვენი ჰარმონიული ურთიერთობა დღემდე გრძელდება.

ეთერი ხარებაშვილი არის შესანიშნავი ფილოლოგი. იგი ბოლომდე იხარჯება, რომ ბავშვებმა სასურველ შედეგს მიაღწიონ. მისი დამსახურებაა ეროვნულ გამოცდებზე მათი წარმატება.

თბილი, კეთილშობილი, გულისხმიერი, პოეტური, ფაქიზი სულის ადამიანი, რომელიც უანგაროდ გასცემს სიკეთეს, არის შესანიშნავი მეუღლე, დედა და ბებია.

ეთერი მასწავლებელს რომელიმე ბავშვის წარუმატებლობა ძალიან სტკენს გულს, წარმატებები კი სიხარულით ავსებს. მისთვის მასწავლებლობა მოწოდებაა.

თელავში, ეროვნულ გამოცდებზე, ეთერი მასწავლებელი ჩვენი შვილებისა და მშობლების გვერდით იდგა, ამხნევებდა ბავშვებს, შემდეგ კი მოუთმენლად ელოდა მათ გამოსვლას გამოცდიდან.

ვიდექი მის გვერდით და სიხარულით ვივსებოდი, მეამაყებოდა, რომ ყვარლის პირველ საჯარო სკოლას და ჩემს შვილს ასეთი ყველასგან გამორჩეული მასწავლებელი ჰყავს.

სულ ახლახანს, ეთერი მასწავლებელს წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის მადლობის სიგელი გადაეცა. ვულოცავ ამ დიდ ჯილდოს და მადლობას ვუხდი ყველაფრისთვის. ვუსურვებ დღეგრძელობას და დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს.

ჩემი უდიდესი ნატვრაა ასეთი მასწავლებლები გვიმრავლოს ღმერთმა და მათი სახელი ყოველთვის ბრწყინავდეს ყვარლისა და №1 საჯარო სკოლის საამაყოდ.

**ლელა ყურშიტაშვილი-კახაშვილი**

## ქალბატონ მანანა თედეიშვილს!

ალმატის საჯარო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ მანანა თედეიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს თავის ოჯახთან ერთად.

**ნინო ბაწილაშვილი, ალმატის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.**

## ბატონ გიორგი ფუტკარაშვილს!

ალმატის საჯარო სკოლის პედაგოგს, ბატონ გიორგი ფუტკარაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარული და სიყვარული არ მოკლებოდეს თქვენს საყვარელ ოჯახს. იდღეგრძელეთ და იხარეთ. მრავალჟამიერ.

**ნინო ბაწილაშვილი, ალმატის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.**

## ქალბატონ ბელა მიხაშვილს!

ალმატის საბავშვო ბაღის თანამშრომლები ქალბატონ ბელა მიხაშვილს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს — 50 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ოჯახურ ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად.

**ალმატის საბავშვო ბაღის თანამშრომლები**

# წაიკითხეთ, გამოგადგებათ



### მეჭეჭებისთვის

1. საკმარისია დაიდოთ რამდენჯერმე ხახვის ნაჭერი და მეჭეჭი მორბილდება და ადვილად მოგშორდებათ.

2. ორი ლიმონის დაქუცმაცებულ კანს დავასხათ 0,5 ჭიქა 30 %-ანი ძმარი. რვა დღის განმავლობაში გააჩერეთ, დროულად შეანჯღრიეთ, გაწურეთ და მეჭეჭებზე დაიდეთ რამდენჯერმე ხსნარში დასველებული ტამპონი.

3. თუ მეჭეჭი გაგიჩნდათ, ყოველდღე, ძილის წინ პიპეტკის საშუალებით დაიწვეთეთ ძმარმჟავა, რამდენიმე დღეში მეჭეჭი მოგძვრებათ.

4. მეჭეჭის კანთან შეხების ადგილას მაგრად მოიჭირეთ აბრეშუმის ძაფი. რამდენიმე დღეში მეჭეჭი გახმება და მოძვრება.

5. ძველად მეჭეჭს შემდეგნაირად მკურნალობდნენ. კარტოფილს ჭრიდნენ შუაზე და ამით იზელდნენ მეჭეჭიან ადგილს. შემდეგ ჭუჭყიან კარტოფილს მიწაში მარხავდნენ და მეჭეჭი უკვალოდ ქრებოდა.

6. ერთადერთი უებარი წამალი მეჭეჭის მოსაშორებლად არის ქრისტესისხლას ღეროებიდან გამონადენი წითელი სითხის დადება.

### ხელ-ფეხის კანკალი (პარკისონის დაავადება)

1. სამ ლიტრ ადუღებულ წყალში ჩაყარეთ ერთი მუჭა ნიგვზის ყვავილი. ვადუღოთ სანამ 1,5 ლიტრზე არ დავა წყალი. გადავწუროთ და მივიღოთ დღეში 2-3 ჯერ 50 გრ.

ნიგვზის ხე ყვავილობს აპრილის თვეში.

2. მამლის სასქესო ჯირკვლები მოვხარშოთ კამასთან და ცერეცოსთან ერთად. როგორც საჭმელი ისე ვაჭამოთ ავადმყოფს (წვნიანად). კანკალი გაუვლის.

### ქრონიკული ბრონქიტი

1.400 გრ.ქატოს დაასხით 1 ლ წყალი, ადუღეთ 10 წუთი და გადადგით. შეაზავეთ დამწვარი შაქრით. მთელი დღის განმავლობაში სვით ცოტა-ცოტა, გაცხელებული.

ბრონქიტი ბავშვებში — გავტეხოთ 2 კვერცხი ( ახალი) შევწვათ გამდნარ ღორის ქონში და დავაყაროთ მარილი, გაციებული მასა დავაფინოთ ბავშვს გულმკერდზე მთელი ღამის განმავლობაში.



ქრონიკული ბრონქიტისთვის — ალოეს წვენი 15 გრ. ბატის ან ღორის გამდნარი ქონი — 100 გრ. კარაქი (უმარილო) — 100 გრ. ნატურალური თაფლი — 100 გრ. კაკაო — 50 გრ. ყველაფერი ეს აურიეთ კარგად ერთმანეთში; ერთ ჭიქა ცხელ რძეში გაურიეთ 1 ს/კ. ეს ნარევი და მიიღეთ დღეში 2-ჯერ.

ბრონქული ასთმის სამკურნალოდ — 1 ს.კ. ქონდარი მოათავსეთ თერმოსში და დაასხით 1 ჭიქა ადუღებული რძე. დადგით 2-3 საათით, შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ თბილი. ასე გაიმეორეთ საღამოსაც. მეორე შემთხვევაში შეგიძლიათ ლიმონი გაატაროთ კანიანად ხორცსაკეპ მანქანაში. დაამატეთ ამავე საკეპში გატარებული 5 თავი ნიორი, დაასხით 500 გრ. ნატურალური თაფლი. აურიეთ და მიიღეთ 1 ს.კ. უზმოზე.

კარგი საშუალებაა ბრონქიტისთვის ასევე თეთრი ხახვიც. გაასუფთავეთ 1 კგ. თეთრი ხახვი, დაუმატეთ 1 კგ. შაქარი. 2 კვირის განმავლობაში დადგით მზეზე. მიიღეთ უზმოზე 2 ს/კ.

ასთმური შეტევის დროს ქერის სუფთა მარცვლები მოხალეთ და შემდეგ დაფქვით. მოადუღეთ როგორც ყავა და შემდეგ მიირთვით. ან 1 ჭიქა შვრია გარეცხეთ, დაასხით 2 ლ. წყალი, ადუღეთ დაბალ ცეცხლზე 2 სთ. გადმოდგით, გაწურეთ და მიიღეთ თითო ჭიქა უზმოზე.

ხოლო ასთმითა და ქოშინით ვინც იტანჯება, შველის თანაბარი რაოდენობის თაფლი, ზეითუნის ზეთი და ჭაჭის არყის ნარევი, — სულ 200 გრ. ეს ნარევი დღეში 3 ჯერ უნდა მიიღოთ პატარა ჭიქით.

### გულის ფრიალის დროს

1.შემოდგომაზე შეაგროვეთ ლეღვის ფოთლები, გაახმეთ ჩრდილში და დაფშვენით. ფხვნილს დაასხით 1 ჩ/ჭ თაფლი და მოურიეთ. ავადმყოფმა უნდა მიიღოს დღეში 3ჯერ ჩ/კ. ერთი კვირის შემდეგ გაიმეორეთ. კიდევ ერთხელ გაიმეორეთ და სამკურნალო კურსიც ჩათავდება.

2.გულის ცემის გახშირებისას გავხეხოთ სახეხზე ნახევარი კგ. ფიჭიანი თაფლი და 20 ც. გარგარის გაჭყლეტილი გული. ავურიოთ ერთმანეთში. მივიღოთ თითო ს/კ დილა-საღამოს.

### მათ, ვისაც მაღალი წნევა აწუხებთ

1.ორ ბოთლ ბორჯომში აურიეთ 50 გრ. პიტნის წვეთები. 500 გრ. შაქარი და მიიღეთ ასგრამიანი ჭიქით დღეში 3ჯერ.

2. სვით ქონდრის ან მწვანე ღიღილოს ნახარში.

3.ხუთ ცალ დაფნის ფოთოლს დაასხით 5 ლ. ცივი წყალი და წამოადუღეთ. გაცივების შემდეგ გაწურეთ, მიიღეთ წყლის ნაცვლად დღეში 3 ჯერ ღვინის ჭიქით. რეცეპტი ნაცადია, კარგია.

3.კომშის 300 ფოთოლი მოხარშეთ 1 ლ. წყალში. ადუღეთ განახევრებამდე, მიიღეთ დღეში 3-ჯერ ს/კ-ით.

4.1 ს/კ სიმინდის ფქვილი მოათავსეთ ჭიქაში. დაასხით ცხელი წყალი. ჭიქა უნდა შევავსოთ და დავდგათ მთელი ღამე. დილით უზმოზე დავლიოთ. შემდეგ გავიმეოროთ ყოველდღიურად.

### დაბალი წნევის დროს

კარგია 1 ჩაის ჭიქა ბროწეულის წვენი ან კონიაკი არყის ჭიქით თუ ადამიანი იტანს და გული არ აწუხებს.

### სისხლნაკლებობა

400 გრ. ღორის მუცლის ქონს დაამატეთ 200 გრ. კარაქი, 200 გრ. თაფლი. ეს ყველაფერი გაადნეთ და გულდასმით აურიეთ. დალიეთ თითო ჩ.კ. 3-4-ჯერ დღეში ცხელ რძესთან ან მაგარ და ცხელ ჩაისთან ერთად.

### ჯიბლიბო

1.აიღეთ ალოეს საშუალო ზომის ფოთოლი (15 გრ.) დააქუცმაცეთ და მოათავსეთ 2 ჭიქა ანადუღარ ცივ წყალში 6 საათის განმავლობაში. გაწურეთ და ამ ნაყენით მოიბანეთ დაავადებული თვალები. ან ასე, — მოჭერით ფოთოლი, გამოწურეთ წვენი და განაზავეთ ანადუღარ წყალში 1-10 პროპორციით. მერე კი მოიბანეთ თვალები.

2.აიღეთ 4-5 ცალი დაფნის ფოთოლი და დაასხით ერთი მეოთხედი ჩ/ჭიქა მდუღარე წყალი. ცოტა ხანს გააჩერეთ, გადაწურეთ და დალიეთ.

3.ჯიბლიბოს შველის ასევე ახალგამომცხვარი ჭვავის პურის გულის კომპრესი.

### თვალები

1.თუ მხედველობა გაგიუარესდათ, თვალები ცივი წყლით ან მარილთან შეზავებული წყლით მოიბანეთ.

2.თვალის ქუთუთოების კიდის ანთების დროს კარგია — ერთი წილი თაფლი გახსენით 2 წილ 40 გრადუსიან თბილ წყალში და ჩაიწვეთეთ თვალში ან გამოიყენეთ საფენების სახით. ან ქალის რძე აურიეთ გათქვეფილი კვერცხის ცილაში და თვალში ჩაიწვეთეთ.

### სლოკინის დროს

1.დალიეთ რამდენიმე ყლუპი ცივი წყალი. ეს მეთოდი ხშირად აჩერებს სლოკინს.

# საქართველო, შესაძლოა ფისტას ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს



პირველად ისტორიაში, ირანისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, საქართველოს ეძლევა საშუალება, ფისტას ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს. ამ მიმართულებით უცხოური კაპიტალით შექმნილი საინვესტიციო კომპანია „არიკ ჯგუფი“ მუშაობს. კომპანია პროექტებს სოფლის მეურნეობის, საკვები ინდუსტრიისა და ტურიზმის მიმართულებით ახორციელებს.

საინვესტიციო კომპანიის ყველაზე ფართო მასშტაბიან პროექტს კახეთში, საგარეჯოს რაიონში, „ვინიჩიო ველის“ (Vinichio Valley) — ანუ „მწვანე“ ტურისტული ცენტრის განვითარება წარმოადგენს. პროექტის განვითარებისას, ძირითადი აქცენტი ქართული ფისტას და ღვინის წარმოებაზე კეთდება.

კომპანიის ინფორმაციით, „არიკ ჯგუფმა“ 20 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩადო მეცნიერულ კვლევაში, იმისათვის რომ მიეღო ადგილობრივ კლიმატზე მორგებული ფისტას ახალი ჯიში. კომპანიამ 3 სხვადასხვა სახეობის ფისტა მიიღო, რომელიც კახეთის კლიმატს და ნიადაგურ პირობებს იდეალურად ესადაგება.

„არიკ ჯგუფი“ აღნიშნულ ტერიტორიაზე 2000 ჰექტარზე — 400 ჰექტარი ვენახის, 400 ჰექტარი ხილის ბაღებისა და 1000 ჰექტარი ფისტას პლანტაციის გაშენებას გეგმავს. უკვე დაწყებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები სათბურის და ლაბორატორიის მშენებლობისთვის. კომპანია სოფლის მეურნეობის მიმართულების ნაწილის დასრულებას 2018 წლის ბოლოსათვის აპირებს. ამასთან, „არიკ ჯგუფი“ ტურიზმის მიმართულებითაც მუშაობს და ინვესტირებას 5-ვარსკვლავიანი 150 ტურისტული ვილის მშენებლობასაც გეგმავს, რომელიც უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს უმასპინძლებს.

საერთაშორისო მარკეტოლოგი–ექსპერტები თვლიან, რომ ფისტის ფასების დაცემა მოსალოდნელი არაა. პირიქით, ჩნდება მისი გამოყენების ახალი ნიშები. შესაბამისად, პლანტაციების რაოდენობა მთელ მსოფლიოში იზრდება. აღსანიშნავია, რომ ამ დარგში, კერძოდ კი ახალი ჯიშებისა და დამუშავების ტექნოლოგიებში სოლიდურ ინვესტიციებს აკეთებენ შუა აზიის ქვეყნები და ჩინეთი.

მაინც რა არის ფისტა („фисташка“). ეს, ერთ — ერთი ყველაზე ძვირადღირებული კაკალია. მისი ღირებულება საერთაშორისო ბაზარზე დიდად აღემატება ნიგვზის, თხილისა და სხვა კაკლოვნების ღირებულებას.

ფისტა სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზეც, ფართოვდება შიდა ბაზარი.

ფისტა, როგორც საწარმოო კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ნაყოფის საკვები თვისებებით და ფასითაა საინტერესო, მაგრამ იგი ამავე დროს დიდად საინტერესო და პერსპექტიულია ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული წარმოებისათვის, ასევე–ჰომეოპათიისათვის.

საინტერესოა ინფრასტრუქტურული თვალსაზრისითაც: ხარობს ზღვის დონიდან 1700 — მდე, ნახევრად უდაბნოების პირობებში, დიდად გვალვაგამძლეა, არ ითხოვს მოვლას, ამაგრებს ნიადაგს და მნიშვნელოვანია ეროზიასაწინააღმდეგო ზონების გასამაგრებლად. ამგვარი ტერიტორიების ხვედრითი წილი საქართველოში, საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით — სამხრეთის საზღვრების მიმართულებით (ყაზახური სელექციური ჯიშები ზღვის დონიდან 2 200 მეტრამდე ადის, რაც სამცხე –ჯავახეთისათვის ახალ პერსპექტივებს ხსნის).

როგორია საქართველოში ფისტის წარმოების პერსპექტივები?

ფისტა საქართველოში ოდითგანვე ყოფილა გავრცელებული. იგი მოხსენიებულია „ხილთა ქებაშიც“. ქართულ ენაზე არსებული სინონიმების სიმრავლეც (ფსტა, ბუსტული, ფისტილი. ფუსტული) ადასტურებს ოდესღაც მის ფართო გავრცელებას. ამჟამად ფისტა ჩვენში აღარაა.

საქართველოში ფისტას პლანტაციების გაშენებას მნიშვნელოვანი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა ექნება. ფისტის პლანტაციების წარმოება დროსა და რესურსებს მოითხოვს, მაგრამ მრავალმხრივ ეფექტს მისცემს მომავალ თაობებსაც (ფისტა მოსავალს 300 წელი იძლევა)

სპეციალისტების აზრით ფისტის კულტურის აღდგენამ ქვეყანას შეუძლია მოუტანოს დიდი ეკონომიკური მოგება. ფისტის გაშენება შეიძლება იქ, სადაც სხვა კულტურები ნაკლებად ხარობს, განსაკუთრებით აზერბაიჯანისა და, ნაწილობრივ, სომხეთის მოსაზღვრე რაიონებში. ამ რეგიონებში ადგილობრივ მეწარმეობისა და ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ფისტა, გვალვიანი რაიონებისათვის საუკეთესო ეროზიასაწინააღმდეგო მცენარეა. მისი მეშვეობით შეიძლება ეროზიული პროცესების პრობლემურ რაიონებში შეჩერება. ამგვარი ტერიტორიების ხვედრითი წილი საქართველოში საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით — სამხრეთის საზღვრების მიმართულებით (ყაზახური სელექციური ჯიშები ზღვის დონიდან 2 200 მეტრამდე ადის, რაც სამცხე –ჯავახეთისათვის ახალ პერსპექტივებს ხსნის).

აღსანიშნავია, რომ ფისტას არ ჭირდება გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და მასში ინვესტირება.

ფისტის პლანტაციები არსებობს ირანში, ამერიკაში, საბერძნეთი, სირიაში, ესპანეთში, იტალიაში, თურქეთში, ყაზახეთში, თურქმენეთში, ინდოეთში, ჩინეთში, სირიაში, ავღანეთში. მაგრამ საერთაშორისო ბაზარზე ფისტის ძირითადი მიმწოდებლები არიან ირანი და აშშ. მათი პროდუქცია ითვლება განსაკუთრებით კონკურენტუნარიანად. საერთაშორისო ბაზარზეც, ეს ორი ქვეყანა გვევლინება ძირითად კონკურენტებად.

ირანულ და ამერიკულ პროდუქციის კონკურენციაში, ერთმანეთს უპირისპირდება ერთის მხრივ საუკეთესო ბუნებრივი პირობები და საუკუნოვანი გამოცდილება (ირანი) და წარმოების თანამედროვე სამეცნიერო–ტექნოლოგიური მიღწევები (აშშ).

ფისტის წარმოებაში მსოფლიო ლიდერი მრავალი საუკუნის მანძილზე ირანი იყო. 1979 წლის რევოლუციის შემდეგ, ამერიკელ ფერმერებს გზა გაეხსნათ საერთაშორისო ბაზარზე. სან ხოაკინის ველზე გაშენებულია მსოფლიოში უდიდესი, 11 700 ჰექტარის ფართის პლანტაცია.

ირანის ბუნებრივი პირობები უკეთესია ფისტის წარმოებისათვის. ამდენად, უშუალოდ ნედლეული უკეთესი ჩანს.

თანამედროვე ტექნოლოგიების საუკეთესო მაგალითია ფისტის მოშენების, გადამუშავებისა და რეალიზაციის კალიფორნიული სისტემა. ამერიკაში ფისტის წარმოება ერთ–ერთ ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე წარმატებულ სასოფლო–სამეურნეო მიმართულებად ითვლება. საცდელი პლანტაციები კალიფორნიაში 1960 წელს გაშენდა. უშუალოდ ნერგები კი 1930 წელს შეიტანეს ირანიდან.

ამერიკული ნედლეული იგებს: მაღალრენტაბელური ჯიშების, ნედლეულის კრეფის, გადამუშავების, შეფუთვის ტექნოლოგიებისა და რაც მთავარია უკეთესი მარკეტინგული მომსახურების ხარჯზე. ამერიკაში სოლიდური ინვესტიციები კეთდება ფისტის მრეწველობაში, მათ შორის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევით, ჯიშების გამოყვანისა და საპროექტო სამუშაოებში.

ტექნოლოგიური დეტალების საილუსტრაციო მაგალითი: ირანში ფისტის კაკალს ბერტყავენ და მიწიდან კრეფენ გაშრობის შემდეგ. ამ დროს წეგო ეწებება ნაჭუჭს, მოცილებისას კი ჩნდება ლაქები და სასაქონლო სახე უარესდება. ამერიკული ტექნოლოგია მოკრეფის შემდეგ წყლის ჭავლით აცლის წეგოს. ეს მოითხოვს დიდი რაოდენობით წყალს, რისი საშუალებაც ირანელ მეწარმეების უმეტესობას არა აქვს. სხვათაშორის, ჩვენს სამომხმარებლო ქსელში არსებული წითელი ფისტა, სწორედ ამ ლაქების დასაფარავადაა შეღებილი. ბუნებრივად იყო მოყვითალო–ჭუჭყიანი ფერისაა.

საქართველოში რეალურად არსებობს პირობები ფისტის წარმოებისას გაერთიანდეს ორივე მხარის პლიუსები.

დღეს მრავალი ქვეყანა ცდილობს განავითაროს ფისტის წარმოება. ამის კარგი მაგალითია შუა აზიის ქვეყნები. ყაზახეთსა და უზბეკეთში არსებობს ფისტის წარმოების განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები. ისინი მოიცავენ სასელექციო სამუშაოებსაც.

თუთუბოსებრთა ოჯახში გაერთიანებულია 80 — მდე გვარი. მათ შორის: საკმლის ხე, თუთუბო, თრიმლი და ფსტა (ფისტა).

უშუალოდ ფისტას გვარში 20 — მდე სახეობა შედის. მათ შორის ჩვენში ცნობილია ნამდვილი ფისტა და კევის ხე აღსანიშნავია, რომ ამ გვარში შემავალ სახეობათაგან საკვებად მხოლოდ„ნამდვილი ფისტა“ გამოიყენება. აქ მხოლოდ ამ სახეობაზეა საუბარი.

ნამდვილი ფისტას ყველა სახეობა წინა და შუა აზიასა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებშია გავრცელებული. კულტივირებული ფისტას დიდი მასივებია ირანში, სირიაში, თურქეთსა და აშშ — ში.

ამჟამად ფისტა საქართველოში აღარაა. გადაშენების მიზეზები უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ ისინი კომპლექსურია:

— ფისტას გავრცელების რაიონებში ხე იშვიათობაა და მწყემსები შეშად პრაქტიკულად მხოლოდ ფისტას იყენებდნენ

— ინტენსიური მეცხვარეობა ანადგურებდა ნორჩ მცენარეებს

— ამ რაიონებში, უკეთესი ბალახის ამოსასვლელად, ტრადიციულად წვავდნენ ბალახს და მცენარეულობაც ეწირებოდა.

არსებობს, ფერეიდნელ ქართველთა კონსულტაციით გაშენებული რამდენიმე საცდელი ნარგაობა: წნორში (გიორგი ალავერდაშვილი), გლდანში (ლალი დათეშიძე), შირაქში (ლევან შენგელია)

რამდენიმე მეწარმე–ფერმერი ამჟამად საქართველოში აშენებს პლანტაციას.

ფისტა 7 მეტრამდე სიმაღლის ხეა. გვხვდება 2 — 6 ამონაყრიანი ბუჩქის ფორმითაც. ბუჩქების სიმაღლე 3 მეტრამდეა. კულტურაში ფისტა ხედ უნდა გაიზარდოს, მისი დაბუჩქება არარაციონალურ მოვლა — პირობებზე მიუთითებს.

ღეროები პირველ წელს გლუვია, ყავისფერი, მეორე წლიდან რუხი ქერქით იფარება.

ფოთლები ყვავილობის შემდეგ ან ერთდროულად იწყებენ განვითარებას, ფართოა, ოვალური ან კვერცხისებრი, ხასხასა მწვანე. განლაგებულია მჭიდროდ, ზემოთა მხრიდან პრიალა, ხოლო ქვემოთა მხრიდან გლუვი ზედაპირი აქვთ.

ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედად. ორსახლიანი მცენარეა. იმტვერება ქარით. ბუნებრივი განვითარებისას მამრობითი ხეების რაოდენობა აჭარბებს მდედრობითს.

ეს იმ აუცილებლობითაა განპირობებული, რომ ხეები ერთმანეთისაგან დაშორებით იზრდება და არასდროს ეხებიან ერთმანეთს ფესვებით. ირანში ყვავილობას იწყებს აპრილის დასაწყისში. მამრობითი ყვავილები ცოტათი ადრე იშლება, რაც ხეების სქესის გარჩევის საშუალებას იძლევა. ყვავის 3 — 4 დღე.

ფუტკრით დამტვერვის შესახებ მონაცემები ვერ მოვიპოვეთ. არაა მონაცემები თაფლოვანობის შესახებ. ალბათ იმიტომ, რომ ფისტა სულ 3–4 დღეს ყვავის. მისი გავრცელების არეალში კი, საკვები ბაზის სიმწირის გამო საერთოდ ფუტკარს ნაკლებად აშენებენ ფისტის ნაყოფი კაკალია.

ნაყოფი შედგება ორი ლებნისაგან; ნაჭუჭი თხელია. ისხამს ყოველწლიურად, მაგრამ ორ — სამ წელიწადში ერთხელ განსაკუთრებით მაღალი მოსავალი იცის. ირანული მონაცემებით ნაყოფი მწიფდება აგვისტოში, თურქული მონაცემებით — სექტემბერში.

ბუჩქების ფესვთა სისტემა 15 მეტრამდე ჩადის, ხოლო ხეების — 30 მეტრამდე. (შუა აზიური მონაცემები); ცოცხლობს 300 — დან 700 წლამდე.ქვემოთ მოტანილი ციფრები, აღებულია სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებიდან. ფისტის სხვადასხვა ჯიშებისა და სხვადასხვა პირობებში წარმოებული ფისტისათვის ისინი შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს. ფისტას თესლები შეიცავს 68% ცხიმს, 18-22% ცილოვან ნივთიერებებსა და 17% –მდე ნახშირწყლებს, ფოთლები შეიცავს 10% ტანინებს, მათი რაოდენობა გალებში 30-50%–ია. თესლების კვებითი ღირებულება ასეთია: (100 გრამზე) — კალორიულობა 630 კილოკალორია — ცილები 22 გრამი — ნახშირწყლები 14 გრამი — ცხიმები 54 გრამი.

ფისტა საფრთხილოა თავისი ეთეროვანი ზეთებით. ითვლება, რომ მოხმარების დღიური ნორმა 10–15 ცალზე მეტი არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა და ღებინების შეგრძნება. მზის სხივების ზემოქმედებით ფისტა გამოყოფს ეთერზეთებს. მათ შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა. ამიტომ ფისტის მოსავალს ღამით აგროვებენ.

ფისტას ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენების რამდენიმე მიმართულება არსებობს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, რომ იგი იძლევა ძვირფას, ოფიცინალურ სამედიცინო ნედლეულს — გალებს. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი ფისტასაგან გალების წარმოება ყველა ქვეყანაში არ ხერხდება.

შირაქსა და დავით გარეჯში, წინასწარი შეფასებით რეალური იქნება გალების სამრეწველო წარმოება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის პლანტაციების შემოსავალს. ლიტერატურაში აღწერილია ფისტის ხალხურ მედიცინაში გამოყენების დიდი გამოცდილება. ხალხური მედიცინა იყენებს ფისტის ნაყოფსა და ფისს. ფისს აგროვებენ აგვისტო– სექტემბერში. ფისტას იყენებენ როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას თირკმლების, კუჭის ტკივილის დროს, როგორც ღებინების საწინააღმდეგო, ზოგადგამაჯანსაღებელ, გულის მდგომარეობის გამაუმჯობესებელ, სპერმის რაოდენობის ზრდისა და ხველის შემამცირებელ საშუალებას.

წყალზე დაყენებულ ფისტას თესლებსა და თვით თესლებს იყენებენ ტუბერკულოზის, სისხლნაკლულობის დროს. ფისს იყენებენ ჭრილობებისა და წყლულების სამკურნალოდ, გამოიყენება ანემიისა და ასთენიის დროს. ჰარემში სტუმრობამდე 2 საათით ადრე, აუცილებლად მიირთმევდნენ სპეციალურად შემზადებულ ფისტას.

სამედიცინო გამოყენება პერსპექტიული ბიზნეს–ნიშად შეიძლება იქცეს, მაგრამ დღეს, ფისტა შემოსავალს თესლის საკვებად და კულინარული გამოყენებიდან იძლევა. ფისტის თესლებს სასიამოვნო გემო და არომატი აქვს. მას ჭამენ უმად, დამარილებულს ან მოხალულს. ზოგიერთ ქვეყანაში მარინებულსა და გამხმარ ფისტას ხორცისა და თევზის საკმაზად იყენებენ. იყენებენ ნაყინში, ტორტებში, მარციპანებში, ყავის სუროგატად. ფისტის ზეთი გამოიყენება ძეხვის წარმოებასა და საკონდიტრო წარმოებაში. პოპულარულია ლუდთან და ა.შ. საინტერესოა, რომ მუდმივად ჩნდება ფისტის საკვებად გამოყენების ახალი სფეროები.

ფისტა, როგორც ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის საშუალება, რელიეფური და პერსპექტიულია. მას შუა აზია ამ მიზნით დიდი ხანია წარმატებით იყენებს. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ფასეულია უზბეკეთის გამოცდილება. იგი ხარობს ისეთ მშრალ ადგილებშიც, სადაც სხვა ხეები არ ხარობს. ხარობს კლდეებზეც და იცავს მათ ჩამოშლისაგან.

ფისტის ხეების დასერვით იღებენ ფისს. ფისს მრავალ სფეროში აქვს გამოყენება, მაგრამ ხეებს აკნინებს. ამიტომ, ფისს ძირითადად ბებერი ხეებიდან აგროვებენ.

ნიადაგისადმი მომთხოვნი არაა, მაგრამ ამჯობინებს კარგ ჰაერ — და წყალშეღწევად ნიადაგებს. ცოტაა მცენარე, რომელიც მარილიან ნიადაგებზე ასე კარგად ხარობდეს.

ჰავა. ერთ — ერთი ყველაზე გვალვაგამძლე მცენარეა. მცენარე არ იღუპება 60 გრადუს სითბოზე, 50 გრადუსზე კი ჩვეულებრივად იძლევა მოსავალს. უძლებს 40 გრადუს ყინვასაც.

წყალი. დიდად გვალვაგამძლეა. არსებობს შუა აზიური ექსპერიმეტული მონაცემები, რომ მორწყვა ზრდის მოსავლის რაოდენობას და აჩქარებს მცენარის ზრდას. ეს მონაცემები, ვფიქრობთ უფრო სანერგე მეურნეობებისათვისაა გამოსადეგი.

მდედრობითი და მამრობითი ხეების თანაფარდობა. პლანტაციაში საკმარისია 10 მდედრობით ხეზე ერთი მამრობითის გაშენება.

გამრავლება. მრავლდება თესლით, ფესვთა ამონაყრითა და მყნობით. რაც შეეხება მყნობით გამრავლებას. საძირედ შეიძლება გამოდგეს საკმლის ხე, მაგრამ ეს მასიურად მიზანშეუწონელია. საქმე იმაშია, რომ ფისტის ბევრი ჯიში ადის 1700 მეტრ სიმაღლემდე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოსათვის. საკმლის ხე კი, ვერ სცილდება 1000 მეტრს. საკმლის ძირზე ნამყენი ეგზემპლარების გავრცელების არეალი, არ იქნება საინტერესო. (ექსპერიმენტები არ ჩაგვიტარებია და ეს მხოლოდ ვარაუდია).

სანერგის აუცილებლობა. ცხადია, კარგია თუ მცენარე თავიდანვე საბოლოო ადგილზე დაითესება, მაგრამ ეს არარეალურია, რადგან ცხვარი და საქონელი ახალ აღმონაცენს საშველს არ მისცემს. რეალურად, აუცილებელია სანერგის მოწყობა. ცხადია არსებობს ვარიანტი ნათესი შემოირაგოს, მაგრამ მასიურად ეს ვერ მოხერხდება.

ფისტა ერთ–ერთი ყველაზე პერსპექტიული მცენარეა, მრავალმხრივი და უპირველეს ყოვლისა– ეკონომიკური ეფექტით. მეწარმეთა ყურადღება გვინდა მივაპყროთ, რომ პლანტაციების გაშენებისას ყველა გადაწყვეტილება სისტემურად უნდა იქნეს გააზრებული. ეს სპეციალურად ამ მიმართულებით მუშაობას მოითხოვს.

პირველადი ამოცანა პლანტაციის გაშენებისას არის სტრატეგიულად კონკურენტული, თანამედროვე ჯიშების შერჩევა. ნაკლებკონკურენტული ჯიშებითა და ტექნოლოგიებით გაშენებული პლანტაციის არარაციონალობა გამოვლინდება მრავალი წლის შემდეგ, როცა სიტუაციის გამოსწორება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

ასე მოხდა ზოგიერთ სფეროში, რადგან უცხოური მწარმოებელი ფირმები არ არიან დაინტერესებული კონკურენტი გაიჩინონ და ურჩევნიათ მოძველებული ჯიშები და ტექნოლოგიები მოგვყიდონ. პლანტაციის გაშენებისას აუცილებლად იხელმძღვანელეთ სპეციალისტთა კონსულტაციით.

**მოამზადა — ია გიგიაშვილმა**

წყარო: medgeo.net







# ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

| ლოტის № | ქონების დასახელება და მისამართი | არა-სასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.) | შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე“ (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ქ. ყვარელი, ი.ჭავჭავაძის ქ. №69-ში მდებარე ყოფ. სავაჭრო ცენტრი | 2998 | 1) 3445; 2) 429; 3) 30; | 57.06.56.133 | 400000 | 80000 | 20000 | 50 |
| 2. | ქ. ყვარელი, სააკაძის ქ.№2-ში მდებარე ყოფ. რედაქციის II-ე სართული | წილო-ბრივად | 468.4 | 57.06.59.080.01.501 | 22588 | 4518 | 1130 | 50 |
| 3. | ქ. ყვარელი, ი.ჭავჭავაძის ქ. №69-ში მდებარე ყოფ. სავაჭრო ცენტრი | 735 | - | 57.06.68.649 | 2205 | 441 | 110 | 50 |
| 4. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 670 | - | 57.06.68.653 | 2010 | 402 | 101 | 50 |
| 5. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 775 | - | 57.06.68.652 | 2325 | 465 | 116 | 50 |
| 6. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 774 | - | 57.06.68.651 | 2322 | 465 | 116 | 50 |
| 7. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 774 | - | 57.06.68.650 | 2322 | 465 | 116 | 50 |
| 8. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 711 | - | 57.06.68.648 | 2133 | 427 | 107 | 50 |
| 9. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 665 | - | 57.06.68.647 | 1995 | 399 | 100 | 50 |
| 10. | ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 620 | - | 57.06.68.646 | 1860 | 372 | 93 | 50 |
| 11. | ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 575 | - | 57.06.68.645 | 1725 | 345 | 86 | 50 |
| 12. | ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 655 | - | 57.06.68.644 | 1965 | 393 | 98 | 50 |
| 13. | სოფ. ზინობიანის ყოფ. სასურსათო მაღაზია | 402 | 212,1 | 57.03.54.010 | 16 000 | 3200 | 800 | 50 |
| 14. | ს.შილდის მუსიკალური სკოლა | 2060 | - | 57.07.57.072 | 48 000 | 9600 | 2400 | 50 |
| 15. | ს.საბუე | 2234 | - | 57.09.57.121 | 15 800 | 3160 | 790 | 50 |
| 16. | ქ. ყვარელი (ყოფ. სახანძრო) | 1) 616; 2) 83; 3) 18; | - | 57.06.57.351 | 112 600 | 22520 | 5630 | 50 |
| 17. | ქ. ყვარელი (ჭაბურღილი საგზაოსთან) | 20 | - | 57.06.60.069 | 3000 | 600 | 150 | 50 |
| 18. | ქ.ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. №160 (რესტორნის კიბის უჯრედი) | წილო-ბრივად | 50,4 | 57.06.57.049.01.504 | 3024 | 605 | 151 | 50 |
| 19. | ქ.ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. №160 | წილო-ბრივად | 111.5 | 57.06.57.049.01.505 | 10035 | 2007 | 502 | 50 |
| 20. | ქ. ყვარელი სარიტუალო მომსა-ხურების ბიურო | 2034 | 47 | 57.06.57.005 | 12204 | 2441 | 610 | 50 |
| 21. | ქ.ყვარელი, (ილია ტბა) | 86 | - | 57.06.51.211 | 18200 | 3640 | 910 | 50 |
| 22. | ქ. ყვარელი, ყოფილი წყალთა სამმარ-თველო | 4814 | №1-275; №2-159,25; №3-437,5 | 57.06.58.170 | 74293 | 14859 | 3715 | 50 |

11/17/2016 kancelaria.cloud.gov.ge//nomfileserver/GetFile?file_id=30530371574235949445&obj_name=A&SessValue=IVKsVKCaDTmmuMjjHvl0kIPYkff9Cc3k8N...

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990158701419316

№ 699 — 17 / ნოემბერი / 2016 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

საფუძველი: ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება; ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის №4 დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების,

http://kancelaria.cloud.gov.ge//nomfileserver/GetFile?file_id=30530371574235949445&obj_name=A&SessValue=IVKsVKCaDTmmuMjjHvl0kIPYkff9Cc3k8NN4... 1/2

აუქციონშიგამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტისქონების პრივატიზებისას ქონებისშემძენიშეიძლებაიყოსსაქართველოსფიზიკურიპირი ან კერძო სამართლისიურიდიულიპირიანასეთპირთაგაერთიანება, რომლისქონებაშიცმუნიციპალიტეტის ან საქართველოსსახელმწიფოხელისუფლებისორგანოსმონაწილეობისწილი 25%–ზენაკლებია.

2. აუქციონშიმონაწილეობისმიღებისმსურველი (შემდგომშიმონაწილე) აუქციონისრეგისტრატორსწარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიცშეიცავსინფორმაციასმონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტისქონებისდასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტისიმქონებისსაწყისფასს, რომლისშეძენაცსურსმონაწილეს;

ბ) „ბე“–სგადახდისდამადასტურებელდოკუმენტს; „ბე“–სგადახდაუნდამოხდესყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში:200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი:300563390; 300563313.

დ) პასპორტის ან პირადობისდამადასტურებელიმოწმობისასლს (ფიზიკურიპირისშემთხვევაში);

ე) ნოტარიალურადდამოწმებულმინდობილობას, თუმონაწილემოქმედებსსხვაპირისსახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლოდოკუმენტაციისასლებსდაგანაცხადისშეტანისმომენტისთვისმოქმედამონაწერსსამეწარმეორეესტრიდან (იურიდიულიპირისშემთხვევაში).

3. მონაწილესუფლებააქვს „ბე“ — სდაუკავებლადაუქციონშიმონაწილეობაზეუარიგანაცხადოს, მხოლოდგანაცხადისმიღებისპერიოდში.

4. აუქციონისდამთავრებისშემდეგდგებაოქმი, რომელიცწარმოადგენსწერილობითხელშეკრულებას, ოქმსხელსაწერსმყიდველიდაყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშიარსებულიქონებისგანკარგვისაუქციონისორგანიზებისმუდმივმოქმედისააუქციონოკომისიისთავმჯდომარე, როგორცგამყიდველისუფლებამოსილიწარმომადგენელი.

5. თუაუქციონშიგამარჯვებულიპირიუარსგანაცხადებსაუქციონისშედეგებისოქმისხელმოწერაზე, მასჩამოერთმევააუქციონშიგამარჯვებულისსტატუსიდაშეტანილი „ბე“ არდაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათაგაფორმებისწესიდამყიდველისპასუხისმგებლობაგანისაზღვრებასაქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილებისა დაყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის10 თებერვლის 4 დადგენილების,,ყვარლისმუნიციპალიტეტისქონებისაუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

9. აუქციონიტარდება 2016წლის 27დეკემბერს 15 საათზე. აუქციონშიმონაწილეობაზეგანაცხადებისმიღებამიმდინარეობს 2016 წლის 28ნოემბრიდან27 დეკემბრისჩათვლით12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ.ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1 — ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი599 855 993; 599 855 966;ყვარლის მუნიციპალიტეტი.



# დინდგელი — ბუნებრივი ანტიბიოტიკი, რომელიც ოქროსფერ სტაფილოკოკსაც კი ანადგურებს

დინდგელის (იმავე პროპოლისის) ანტიმიკრობული თვისებები ფართოდ არის ცნობილი, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ის იმუნიტეტის შემადგენელი ცალკეული რგოლების ფუნქციაზეც ახდენს გავლენას, ასტიმულირებს იმუნიტეტის როგორც სპეციფიკურ, ასევე არასპეციფიკურ ფაქტორებს და, აქედან გამომდინარე, უნიკალურ იმუნომასტიმულირებელ საშუალებას წარმოადგენს.

შეგახსენებთ, რომ სპეციფიკურ იმუნიტეტს განაპირობებს ორგანიზმის ლიმფოიდური სისტემა, ხოლო ორგანიზმის დამცავ არასპეციფიკურ ფაქტორებს ქმნის კანი, კუჭის წვენის მჟავე ბარიერი, სისხლის დამცველობითი ფუნქციის სხვადასხვა მექანიზმი. დინდგელი ყველა ამ ფაქტორზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და ამიტომ უნიკალური საშუალებაა იმუნიტეტის ასამაღლებლად. დინდგელი წმენდს უჯრედებს, ხელს უწყობს მათი მემბრანების სტაბილიზაციას, აღადგენს დაზიანებულ ქსოვილებს (ანუ უზრუნველყოფს მათ რეგენერაციას), ასტიმულირებს ფაგოციტების (მშთანთქავი უჯრედების) ფუნქციას, ზრდის გამა გლობულინების რაოდენობას. მისი გავლენით აქტიურდება ღვიძლის უჯრედების (ჰეპატოციტების) ფუნქცია, უმჯობესდება ალბუმინებისა და გლობულინების თანაფარდობა. დინდგელი ბუნებრივი ანტიბიოტიკია, თანაც უნიკალური, რადგან დღემდე არ არის ნაპოვნი ბაქტერია, რომელიც ამ ნივთიერებაში გამრავლება-განვითარებას შეძლებდა. დინდგელი ოქროსფერ სტაფილოკოკსაც კი ანადგურებს — ბაქტერიას, რომელიც გამძლეა უახლესი ანტიბიოტიკების მიმართ. პროპოლისი დამღუპველად მოქმედებს ვირუსებსა და სოკოებზეც. ეპიდემიის დროს თავის დასაცავად საკმარისია, დინდგელის საშუალო ზომის ბურთულა კვირაში ორჯერ დაღეჭოთ. თუ გრძნობთ, რომ ყელი გტკივათ და ავად ხდებით, ძილის წინ აუცილებლად დაღეჭეთ პროპოლისი (ასანთის ღერის თავისოდენა 2-3 ბურთულა). მეორე დილით თავს გაცილებით უკეთესად იგრძნობთ და ყველა სიმპტომი გაგივლით. დინდგელი ააქტიურებს ორგანიზმის დამცველობით მექანიზმებს, ზრდის მრავალი დაავადებისადმი მისი წინააღმდეგობის უნარს, ბოჭავს ბაქტერიულ შხამებს (ტოქსინებს) და გამოდევნის მათ ორგანიზმიდან. ანტიბიოტიკოთერაპიის დროს დინდგელის გამოყენება საშუალებას იძლევა, ორჯერ შემცირდეს მედიკამენტების დოზა სათანადო ეფექტის შენარჩუნებით. არსებობს დინდგელის გამოყენების შემდეგი ფორმები:

სპირტიანი ნაყენი;
წყლიანი ნაყენი;
პროპოლისის წყალხსნარი;
პროპოლისის მალამო;
პროპოლისის სანთლები.

გთავაზობთ თითოეული ფორმის მომზადების წესს (რეცეპტს):სპირტიანი ნაყენი კარგი იქნება, თუ ნაყენის მოსამზადებლად 90%-იანი სპირტის ნაცვლად 70%-იანს გამოიყენებთ, რადგან დინდგელის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებების ნაწილი სპირტში იხსნება, ნაწილი კი წყალში. დინდგელის ნაწილი 15 წუთით მოათავსეთ საყინულეში. ის გაიყინება და გამაგრდება. მიღებული გუნდა ჩახეხეთ წვრილ სახეხზე და ჩაუშვით სპირტით სავსე მინის ჭურჭელში, შეანჯღრიეთ და მოათავსეთ სიბნელეში. დღეში ერთხელ მაინც შეანჯღრიეთ (სასურველია დღეში ორჯერ, დილა-საღამოს). ერთი კვირის შემდეგ ნაყენი მზად იქნება. ყოველ 100 მლ სპირტზე უნდა აიღოთ 15-20 გრამი დინდგელი. კონცენტრაცია შეგიძლიათ მიზნის შესაბამისად ცვალოთ.

გამოყენება: სპირტიან ნაყენს იყენებენ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ღრძილებისა და კბილების დაავადებების, ტონზილიტის დროს სავლების სახით (სავლების მოსამზადებლად 1 ჩ.კ. ექსტრაქტს ხსნიან 1 ჭიქა წყალში). შუა ყურის ანთებისას პროპოლისის ექსტრაქტს ურევენ მცენარეულ ზეთს თანაფარდობით 1:2-ზე, ათბობენ ოთახის ტემპერატურამდე და პიპეტით იწვეთებენ ყურში — 3-5 წვეთს ბავშვებში და 7-10 წვეთს უფროსებში — 3-4-ჯერ დღეში. მოხუცებულთა სიყრუისას ამ ნარევს ყურში იწვეთებენ დღეში ერთხელ 10 დღის განმავლობაში.

სპირტიან ექსტაქტს დასალევად იყენებენ გაციების, გრიპის, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტების, ფილტვების ანთებისა და ტუბერკულოზის, ჰიპერტონიის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ანთების, მწვავე და ქრონიკული კოლიტების დროს. აგრეთვე — იმუნიტეტის გასაძლიერებლად. ერჯერადი მიღების დოზაა 20-40 წვეთი, რომელიც იხსნება 100 გრამ წყალში ან რძეში. მკურნალობის კურსია 5-დან 30 დღემდე, დაავადების შესაბამისად (მაგალითად წყლულოვანი დაავადებისას მკურნალობის კურსია 3-4 კვირა და 10-15-დღიანი შესვენების შემდეგ კურსი შეგიძლიათ გაიმეოროთ).

წყლიანი ნაყენი

საჭირო რაოდენობის დინდგელი 15 წუთით მოათავსეთ საყინულეში. როცა გაიყინება და გამაგრდება, გახეხეთ წვრილ სახეხზე. ჩაყარეთ ჭურჭელში, დაასხით წყალი, დაახურეთ თავსახური და 10 წუთით გააჩერეთ წყლის აბაზანაში (ანუ მეორე ჭურჭელში, რომელშიც წყალი დუღს). ნარევი რამდენიმე ფენა დოლბანდში გადაწურეთ (გაფილტრეთ) და მუქი ფერის მინის ჭურჭელში გადაასხით. შეინახეთ მაცივარში არა უმეტეს ერთი თვისა.

დინდგელის წყალხსნარი-თერმოსში ჩაასხით 100 მლ ანადუღარი, 50 გრადუსამდე გაგრილებული წყალი, დაამატეთ 10 გ დაქუცმაცებული პროპოლისი და 24 საათი გააჩერეთ. მიიღებთ მოყვითალო-მოყავისფრო გამჭვირვალე სურნელოვან სითხეს, რომლის შენახვაც რეკომენდებულია სიგრილეში არა უმეტეს 7 დღისა.

პროპოლისის წყალხსნარს სპირტხსნართან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როცა სპირტხსნარის მიღება რეკომენდებული არ არის: ორსულებში, სპორტსმენებში, მძღოლებში. სჯობს ახალი მომზადებული ხსნარი გამოიყენოთ ხოლმე.

სამედიცინო ეფექტი: პროპოლისის წყალხსნარი აძლიერებს სპეციფიკურ და არასპეციფიკურ იმუნიტეტს, იცავს ორგანიზმს დისბაქტერიოზისგან, რომელიც ანტიბიოტიკებით მკურნალობისას ვითარდება ხოლმე, ასტიმულირებს ჰიპოფიზურ-თირკმელზედა ჯირკვლის სისტემებს. აქვს ძლიერი ანტიმიკრობული და ბაქტერიოციდული მოქმედება, ანადგურებს ტუბერკულოზის, დიფტერიისა და დიზენტერიის ჩხირებს, სტაფილოკოკებს.

გარდა ამისა წყალხსნარს აქვს ანტივირუსული მოქმედება და მოქმედებს ინტერფერონის მსგავსად გრიპის, ჰეპატიტის ჰერპესის ვირუსების წინააღმდეგ. პროპოლისის წყალხსნარს აქვს სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება და ეფექტიანია ასპერგიზოლის, კანდიდამიკოზის, ლიქენის დროს.

ეს ხსნარო აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობას და აქვს ანტისკლეროზული მოქმედება. ასევე ჭრილობის შემახორცებელი და ეპითელიზაციის დამაჩქარებელი ეფექტი, გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გასაწმენდად, აუმჯობესებს ნაღვლის გამოყოფას, აღადგენს ღვიძლის უჯრედებს ჰეპატიტის შემდეგ. ასევე ნაჩვენებია მისი მიღება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, ჰიპერტენზიის, კარდიოდისტროფიის, სტენოკარდიის, იშემიის დროს.

საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა პროპოლისის გამოყენება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისა და დიაბეტის დროს. თუ 1 სუფრის კოვზ წყალხსნარს გახსნით 1 ლიტრ წყალში და მიიღებთ დღის განმავლობაში, შესანიშნავად მოხსნით ალკოჰოლურ ინტოქსიკაციას.

გამოყენება: დინდგელის წყალხსნარი და წყლიანი ნაყენი უნდა მიიღოთ დღეში 3-5-ჯერ, 1, 2 ან 3 სადილის კოვზი ჭამამდე 30-40 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და არსებული დაავადების ფორმის შესაბამისად, ერთიდან სამ თვემდეა. პროპოლისის წყალხსნარის მიღება მუდმივად შეგიძლიათ, რადგან ასეთი დოზით ის ტოქსიკურ ეფექტს არ ავლენს

მალამო-გაყინული და გახეხილი პროპოლისი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში. შემოდგით წყლის აბაზანაზე. გააჩერეთ, სანამ დინდგელი წებოვანი არ გახდება, დაამატეთ იმდენი კარაქი, რომ მიიღოთ სასურველი კონსისტენცია (თქვენი მოთხოვნილებისამებრ, ჩვეულებრივ კი 100 გრამ კარაქზე 15-20 გრამ დინდგელს იღებენ და 5 მლ წყალს ამატებენ). გააჩერეთ 5 წუთი, განუწყვეტლივ ურიეთ ხის კოვზით. ჯერ კიდევ ცხელი გადაწურეთ ორფა დოლბანდში, ჩაასხით მინის ჭურჭელში და მაცივარში შედგით. კარაქის ნაცვლად მალამოს მოსამზადებლად შეიძლება ვაზელინის გამოყენებაც. შეგიძლიათ, პროპოლისის მასა პროდუქტის სასურველი კონცენტრაციის მიხედვით ცვალოთ — აიღოთ 5, 10, 15, 20, 30 ან 40 გრამი პროპოლისი და, შესაბამისად, დაამატოთ 95, 90, 85, 80, 70, 60 გრამი ვაზელინი.

გამოყენება: ეკზემა, ნეიროდერმიტი, დერმატოზები, შეუხორცებელი ჭრილობები და ტროფიკული წყლულები. სოკოვანი დაავადებები.

სანთლები-აიღეთ კაკაოს ცხიმი ან კარაქი და პროპოლისის 10%-იანი სპირტიანი ნაყენი. ცხიმი და ნაყენი ერთმანეთში აურიეთ თანაფარდობით 4:1-ზე. მიღებული მასა გაადნეთ წყლის აბაზანაში არა უმეტეს 40 გრადუს ტემპერატურაზე. გააცივეთ და შეაწებეთ 3 სანტიმეტრი სიგრძისა და ერთი სანტიმეტრი დიამეტრის ცილინდრების სახით. მიღებული სანთლები სათითაოდ გაახვიეთ პოლიეთილენში და მაცივარში შეინახეთ.

აქვს ანტისეპტიკური, ანტიანთებითი, სოკოს საწინააღმდეგო, ჭრილობის შემახორცებელი ეფექტი.

გამოყენება:ჰემოროი (ბუასილი),მამაკაცთა სასქესო სისტემის დაავადებები,

სწორი ნაწლავის დაავადებები — ეროზია, ანალური ნახეთქი, ანთებითი პროცესები სწორ ნაწლავში (პროქტიტი, პარაპროქტიტი) საშვილოსნოსა და საშოს ანთებითი პათოლოგიები.

# ნამდვილი პანაცეა – კაკლის ულელს ორგანიზმის განკურნება შეუძლია



კაკლის სარგებელზე ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან გვსმენია ბევრი რამ. თუმცა იშვიათად ეცოდინება ვინმეს, რომ კაკლის გულის გარდა, მისი სხვა ნაწილებიც ძალიან სასარგებლოა. ხალხურ მედიცინაში ძალიან ხშირად გამოიყენება, კაკლის ულლის ნაყენი.

ნაყენი დაგეხმარებათ რადიკულიტის, სახსრების ტკივილის, თავის ტკივილის, ნევროზისა და უძილობის დროს. ნაყენს ანტისეპტიკური დანიშნულებაც აქვს, ამიტომ გამოიყენება ჭრილობების და მცირე ნაკაწრების დროსაც.

გთავაზობთ ნაყენის მომზადების საიდუმლო წესს

**კაკლის ულლის ნაყენი:**
2 ს.კ. კაკლის ულელი
არაყი (შეგიძლიათ გამოიყენოთ სამედიცინო სპირტი)

**მომზადების წესი:**
1. კაკლის ულელი მოათავსეთ დაბურულშუშიან ქილაში
2. შემდეგ დაასხით ცოტაოდენი არაყი, ისე, რომ კაკლის ულელი მთლიანად დაიფაროს
3. ქილას მჭიდროდ მოარგეთ საცობი და ბნელ ადგილას შეინახეთ. ნაყენი 14 დღეს გააჩერეთ
4. 2 კვირის შემდეგ ნაყენი უნდა გაწუროთ.

წამალი უნდა მიიღოთ – 5-6 წვეთი, 2 სუფრის კოვზ ცხელ წყალში გახსნილი. კაკლის ულლით მკურნალობის კურსი – 3 კვირიდან 3 თვემდე გრძელდება.

# მონატრება

## ნოდარ ზუბიტაშვილის ხსოვნას



სიკვდილს საუკუნე უნდა დაჰკლებოდა და არა რამდენიმე წუთი...

იმედები და შიშები გაქრნენ, როგორც ცაში ღრუბლები...

და მოუთმენლად ველით იმას, რაც ჩვენ წინ გველის... დღეს ღამე მოსდევს... მუდმივი არაფერია... მხოლოდ სიკვდილი რჩება და ყველაზე ბობოქარ მდინარესაც ზღვაში უწევს სიმშვიდის პოვნა.

ოქტომბრის თვე... სწორედ ის დროა ბუნება რომ კვდომას იწყებს... შენი სულიც მკვდარი ფოთლების ქარავანს გაჰყვა და ერთი წლის წინ ჩვენც სულში აღუწერელი ტკივილი ჩაგვისახლდა...

გაფრენილ დროთა სიშორეს ველარ მოვიწვდენ და შენი მონატრების ტკივილსაც ცრემლებში ვახშობ.

ცხოვრება წუთია, რომელიც გვგონია, რომ უსასრულოდ გაგრძელდება. რეალურად კი შეიძლება მხოლოდ რამდენიმე წამისგან შედგებოდეს, რომელშიც მრავალჯერ ვიბადებით და ვკვდებით... ჰო, ჩემი არსებობის ყოველ წამს მე მკვდრეთით ვდგები.

დრო მიდის და ნაკვალევებზე მხოლოდ ნანგრევებს ტოვებს, მაგრამ დრო შენს ძვირფას სახელს ვერ წაგვართმევს... შენ ჩვენი დროის უდიდეს ტკივილს, სიყვარულს და მონატრებას დაგარქმევთ და ასე ყოველთვის ყველასგან გამოგარჩევთ...

იმ საბედისწერო დღის შემდეგ გული სუსტადღა მიცემს... ვგრძნობ მარტოობას ათას კაცში... თითქოს ცხოვრებას ვაგრძელებ, წინ მივდივარ და მაინც უკან ვეშვები... გულში დატოვებულ უძირო უფსკრულს ვერაფერი ვერ ავსებს...

დღეს, ერთი წლის შემდეგაც, ამ ნოსტალგიით გაჟღენთილ შემოდგომაზე, ბუნების ბოლო ამოსუნთქვაზე, ჩვენ ღრუბლებს ისევ ვტვირთავთ უკიდეგანო მონატრებით და ზეცაში, ანგელოზებს შორის მცხოვრებს გიგზავნით, იმ იმედით, რომ შენი სახელი მუდამ დარჩება ჩვენს გულებში და არასდროს არ გადაინაცვლებს იგი ხსოვნის ძველ, დამტვერილ თაროზე...

ნოდარ, დღესაც ფილტვებს ჰაერს აცლის ჩემში დაგროვილი სევდა.

სიკვდილს საუკუნე უნდა დაჰკლებოდა და არა რამდენიმე წუთი...

**დედა და ოჯახი**

# ლამარა მჭედლიშვილის გახსენება

ჩემთვის ყველაზე საყვარელო ლამარა მასწავლებელო, ერთი წელი გახდა რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან წახვედი და სამუდამო სასუფეველი დაიდე იმ ქვეყანაში;

ჩვენ ხომ მრავალწლიანი მეგობრობა, ურთიერთთანამშრომლობა და მირონი გვაკავშირებდა ერთმანეთს. მოურჩენელი იარა დაუტოვე ასევე შენს ოჯახს, შენს ალმატის საჯარო სკოლის კოლეგებს. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეძალება უშენობით გამოწვეული ფიქრი და დარდი. ძალიან, ძალიან მენატრები ლამარა მასწავლებელო. ვერ ვერევი უშენობით გამოწვეულ სევდასა და მწუხარებას, შენ ჩემი გულის ნაწილიც, შენთან ერთად, წაიღე იმ ქვეყანაში. ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს. გჯეროდეს, ყოველთვის ვილოცებ შენი სულის უკვდავსაყოფად.

**შენი ნინო ბაწილაშვილი,**
**ალმატის დაწყებითი კლასის მასწავლებელი**

# ლავრენტი ბერია: „დიდა ფხოდი“, ეტყობა ბუნება სილამაზით რომ გაჯილდოებს ადამიანს, სხვა რამეს გართმევსო



მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო ქართული კულტურის დღეები. ლავრენტი ბერიას დაურეკა მოსკოვიდან საბჭოთა კავშირის უშიშროების „ნარკომმა“ ეჟოვმა და ამის შესახებ ამცნო. ბერიამ იმ დღესვე შეკრიბა ბიუროს წევრები, შეატყობინა დავალების ამბავი და კულტურის მინისტრს უბრძანა, მეორე დღიდანვე დაეწყო მზადება. საქმეს სათავეში, იმ დროისთვის, ყველაზე ცნობილი რეჟისორი ჩაუყენეს. კვირაში ერთხელ, ქალაქის პარტიული კომიტეტის მდივანი და კულტურის მინისტრი ერთად ამოწმებდნენ სამზადისის შედეგებს. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდიოდა და მოსკოვში წასვლამდე ათი დღით ადრე, დაინიშნა გენერალური რეპეტიცია, რომელსაც თავად ბერია ესწრებოდა. გაიხსნა ფარდა და სცენაზე ქართულ ეროვნულ კაბაში გამოწყობილი ქალი გამოჩნდა, რომელმაც მისასალმებელი ტექსტი წაიკითხა და პირველ ნომრად გამომსვლელთა სიაში, ბელადისადმი მიძღვნილი სიმღერით, დები შუშხიაშვილები დაასახელა. სცენაზე ქართულ კაბებსა და ჩიხტიკოპებში გამოწყობილი 9 „შავი ყვავი“ გამოჩნდა. ბერია სილამაზის დიდი მოტრფიალე იყო და კინაღამ გადაირია ამ ქალების შემხედვარე. წამოხტა და დაიყვირა – როგორ მოგაფიქრდათ რეჟისორს და კულტურის მინისტრს, ბელადის წინაშე, ქართველი ქალები ასეთი სახით წარგედგინათო! მათ თავი იმართლეს, რა ვქნათ ბატონო, ამათზე კარგად ვერავინ მღერის დღეს საქართველოშიო. ამოიღო ბერიამ კალამი და ფურცელზე ცხრა ქალის გვარი დაწერა, უბრძანა – ესენი მომგვარეთ სასწრაფოდო. მართლაც მოიყვანეს ყველანი. ბერიამ ჰკითხა სიმღერა და ჩონგურზე დაკვრა თუ იცითო. ორმა უპასუხა კიო, დანარჩენებმა კი მორცხვად დახარეს თავი. გამწარდა ბერია, ადიუტანტს გადაულაპარაკა: „დიდა ფხოდი“, ეტყობა ბუნება სილამაზით რომ გაჯილდოებს ადამიანს, სხვა რამეს გართმევსო. ამ ქალებს დააზეპირებინეს სიმღერის ტექსტი, ჩონგურზე სიმების სწორად ჩამოკვრა და მეორე დღეს გაუყენეს მატარებლით მოსკოვს. ვერავინ მიხვდა რა ჩაიფიქრა ბერიამ. მოსკოვში, დიდ თეატრში, დიდი ბელადის წინაშე, აიხადა ფარდა და ულამაზესი ქალები გამოგოგმანდნენ. ბუდიონს, რომელიც საკმაოდ მოხუცი იყო და აღარაფერი უკრთოდა, მათ შემხედვარეს ისედაც აპრეხილი ულვაშები სულ ყალყზე წამოუდგა. სტალინს სიამოვნებისგან გაეღიმა. სცენის შუაგულში ქართული ჭირნახულით დახუნძლული დიდი ქვევრშემოდგმული კახური ურემი იდგა. ქვევრში დები შუშხიაშვილები ისხდნენ, შიგნით გაყვანილი მიკროფონებით. მოკლედ, ისინი მღეროდნენ და სცენაზე ლამაზმანები პირს აღებდნენ. სიმღერის დასრულებისთანავე ტაშის გრიალი ატყდა. „ბისზე“ შესრულებული სიმღერა ორჯერ გაამეორებინეს. კონცერტის დასრულების შემდეგ ბელადმა ბერია თავისთან მიიხმო და შეაქო. ბერია სიხარულით მეცხრე ცაზე იყო, მაგრამ აქვე დასრულდა მისი სიხარული. სტალინმა ეშმაკურად ჩახედა თვალებში და უთხრა: ის დები ძალიან მომეწონა, დღეს აუცილებლად წამოიყვანე კრემლში, ბანკეტზე, უნდა ვამღეროო. ბერიამ ფერი დაკარგა, იფიქრა კრემლში ვინ შემატანინებს ახლა მე ქვევრსო. მოკლედ, ბელადმა შეატყო, რომ საწყალი ლავრენტი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო, მეგობრულად მხარზე ხელი დაარტყა და დინჯად უთხრა: ნუ ნერვიულობ, ლავრენტი, ქვევრი უკვე კრემლშიაო. ასე ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა კავშირში პირველ ფონოგრამას.

**ჟურნალი „თბილისელები“**

# სოფელ შილდაში ქუჩების სახელდება მალე განახლდება



ქუჩების სახელწოდებას თუ როგორი მნიშვნელობა გააჩნია, ეს კარგად შევიგრძენით უკანასკნელ პერიოდში იმ ადამიანებმა, ვინც საჯარო რეესტრს მივმართავთ უძრავ-მოძრავი ქონების გაფორმებისათვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სასწრაფო დახმარების ავტომანქანების ეკიპაჟი ხშირად დროს კარგავს იმის გამო, რომ ვერ აგნებენ ადრესატებს, რადგან სოფლებში ქუჩების სახელწოდებების განახლება დიდი ხანია არ მომხდარა და კომუნისტების პერიოდში არსებული ფირნიშები აღარ არსებობენ.

ასევე გართულებულია საფოსტო გზავნილების ადრესატებამდე მიტანა და სხვა გადაუდებლად საჭირო საკითხების მოგვარება, რაც ადამიანების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას ართულებს.

აღნიშნული პრობლემა აწუხებს შილდის მოსახლეობასაც და სოფელ შილდის განვითარების ფონდის მესვეურებმა გადაწყვიტეს დროულად მოეგვარებინათ.

14 ნოემბერს სოფელ შილდის მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში შეიკრიბნენ სოფელ შილდის განვითარების ფონდის, ინტელიგენციისა და ბიზნესის წარმომადგენლები, რომელთაც განიხილეს სოფლისათვის აქტუალური საკითხი ქუჩების სახელდების შესახებ.

შეხვედრას უძღვებოდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ჯემალ შავერდაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ქუჩებისათვის სახელწოდების მინიჭებასთან დაკავშირებით შექმნილია კომისია, რომლის სხდომებზე მრავალგზის იქნა განხილული სოფლის ქუჩებზე მიკუთვნებული სახელწოდებების დატოვების ან შეცვლის საკითხი. იმიტომ მოგიწვიეთ თქვენ, რომ ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გამხდარიყო ეს მეტად მნიშვნელოვანი გადაუჭრელი პრობლემა, რომელიც მოსახლეობას აწუხებს დიდი ხანია.

დღეს უნდა განვიხილოთ თითოეული ქუჩის სახელდების საკითხი და საბოლოოდ შევჯერდეთ კონკრეტულ სახელწოდებებზე. შემდგომ დაზუსტებულ პროექტს ამომრჩევლების სახელით წარვადგენთ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში, რომელიც იმსჯელებს და გადასცემს საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა პროექტი აისახოს საჯარო რეესტრის ბაზაში.

შემდგომ ეტაპზე შესაბამისი სამთავრობო კომისია განიხილავს და პროექტი დაუბრუნდება სოფელს, რომლის პრაქტიკულად განხორციელება დამოკიდებული იქნება ყვარლის მუნიციპალიტეტზე და სპონსორებზე, რათა ქუჩებს შესაბამისი საფირნიშო წარწერები ამშვენებდეს.



ქუჩების სახელდების ირგვლივ გამართულ მსჯელობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბიზნესის წარმომადგენლებმა კარლო ასაბაშვილმა, მერაბ აღნიაშვილმა, ალექსანდრე შალოშვილმა, დავით გიგიტაშვილმა, შილდის I და II საჯარო სკოლების დირექტორებმა ზაირა არევაძემ და მანანა კანანაძემ, შილდის №1 საბავშვო-ბაგა-ბაღის დირექტორმა მაია იმერლიშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა ლევან ხუციშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა კობა ფაჩოშვილმა და სხვებმა.



შეკრებაზე საბოლოოდ დაზუსტდა და თითოეულ ქუჩას მიეკუთვნა სახელი, პროექტის მასალები კი უახლოეს ხანში წარედგინება ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**



# ფრენბურთელთა ტურნირი (მიეძღვნა საპარლამენტო არჩევნებს)

საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინა დღეებში „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ორგანიზებით ყვარლის სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა რაიონული ტურნირი ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ქალაქისა და სოფლების რვა გუნდმა, რომლებიც ორ ქვეჯგუფად გაიყო. ქვეჯგუფებში წრიული სისტემით ჩატარებული ასპარეზობის შემდეგ გამარჯვებული გუნდებისაგან გაირკვა ნახევარფინალის ოთხი მონაწილე — საბუის, ახალსოფლის, შილდისა და სარუსოს ფრენბურთელთა კოლექტივები.

პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში შილდელმა ფრენბურთელებმა მეტად დაძაბულ და უშეღავათო პაექრობაში სძლიეს ახალსოფლელებს — 2:1. მეორე ნახევარფინალში საბუელებმა შედარებით იოლად გატეხეს სარუსოს გუნდის წინააღმდეგობა — 2:0.

ტურნირის დასკვნით ეტაპზე გაიმართა შეხვედრები საპრიზო ადგილების გამოსავლენად. მესამე ადგილისათვის მატჩში ახალსოფლელებმა საინტერესო ბრძოლაში მოუგეს სარუსოს ფრენბურთელებს და მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლნენ.

ბოლოს გაიმართა ფინალური შეხვედრა შილდისა და საბუის ფრენბურთელებს შორის, რომელმაც მეტად დაძაბულ და უშეღავათო ბრძოლაში ჩაიარა. პირველი პარტია დიდი შემართებით მოთამაშე შილდელებმა მოიგეს. ისინი მეორე პარტიაშიც ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ საბუელმა ფრენბურთელებმა, ძირითადად გამოცდილების წყალობით, შეძლეს ძალების მობილიზება და პარტიის თავის სასარგებლოდ დამთავრება. მესამე გადამწყვეტ პარტიაში კი საბუელებმა ხელიდან აღარ გაუშვეს უპირატესობა და ფინალური ასპარეზობა გამარჯვებით დააგვირგვინეს — 2:1.

ამრიგად, ამ მეტად საინტერესო ტურნირის გამარჯვებული გახდა საბუის ფრენბურთელთა გუნდი, რომელსაც გადაეცა შეჯიბრების მთავარი ჯილდო — საპატიო თასი. მეორე ადგილი დაისაკუთრეს შილდელებმა, ხოლო მესამე ახალსოფლელმა ფრენბურთელებმა. პირველ სამეულში გასული გუნდები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით და დიპლომებით — პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატების ირაკლი სესიაშვილისა და გურამ მაჭარაშვილის ხელმოწერებით.

ასე დამთავრდა ეს საინტერესო ტურნირი, რომელმაც სრულად გაამართლა თავისი მიზანი და დანიშნულება. ჩვენი გადასახედიდან დავძენდით, რომ საბუის, შილდისა და ახალსოფლის გუნდების უპირატესობა, სხვებთან შედარებით, განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ამ გუნდების შემადგენლობაში გამოდიოდნენ სპორტული კლუბი „ყვარელის“ წევრები, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ბინადარია. ქებას იმსახურებენ სარუსოს ფრენბურთელებიც, რომლებმაც საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი გამოიყვანეს. უდავოდ შეეძლო უკეთესი და ძლიერი გუნდის გამოყვანა ყვარელსაც, მაგრამ რამდენიმე კარგი მოთამაშე მათ შემადგენლობაში, ამჯერად, რატომღაც ვერ ვიხილეთ. მომავალში ეს ლაფსუსი, ალბათ, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

საყურადღებოა, რომ ტურნირის ფინალურ შეხვედრას ესწრებოდა და გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი ჩვენი რაიონიდან ბატონი გურამ მაჭარაშვილი.

დაბოლოს, დიდი მადლობა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს ბატონ როსტომ სესიაშვილს და შტაბის მთელ შემადგენლობას ასეთი ლამაზი და საინტერესო ტურნირის ორგანიზებისათვის.

**ალიმან ლაფაჩიშვილი,**
**ს/კ „ყვარელის“ მწვრთნელი**

# ილია შავერდაშვილის სახელობის ტურნირის ჩემპიონი ცნობილია



საქართველოს ოდითგანვე უამრავი მტერი ჰყავდა და არაერთი ბრძოლა გაუმართავთ სახელოვან წინაპრებს მომხდურებთან, უფლის წყალობით, უთანასწორო შერკინებაში ხშირად იმარჯვებდნენ კიდევაც და დღევანდლამდე შემოგვინარჩუნეს ულამაზესი და უძვირფასესი ქვეყანა.

სამწუხაროდ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში კიდევ დაუდგებოდა განსაცდელი და ქვეყანა ომის ქარცეცხლში გაეხვეოდა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის კონფლიქტმა უდიდესი დარტყმა მიაყენა ჩვენი ქვეყნის წინსვლას, ტერიტორიის ერთი მესამედი დღესაც ოკუპირებულია და რაც ყველაზე მთავარია, ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა ერთი კაცის ახირებით თავსმოხვეულმა აგვისტოს ომმა.

ყვარლის მუნიციპალიტეტსაც შეეხო ომის მსახვრალი ხელი და ოთხი შესანიშნავი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა. ილია შავერდაშვილი, დავით ელიზბარაშვილი, გელა მებალიშვილი (ბარდანა) და ზურა ტურაშვილის სახელები, რომელთაც უმანკო სიცოცხლე გაიღეს ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, არასოდეს დაავიწყდებათ მომავალ თაობებს.

ილია შავერდაშვილის სახელობის ტურნირი ფეხბურთში ენისლელი ახალგაზრდების პრესტიჟულ ასპარეზობად იქცა და ენისლის საჯარო სკოლის უფროსი ასაკის კლასების მოსწავლეები ყოველ შემოდგომას ერთვებიან ხალისით.

მიმდინარე წლის ტურნირის ფინალისტები გახდნენ მეათე და მეცხრე კლასის ფეხბურთელები, რომლებიც 11 ნოემბერს დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სოფ. ენისლის საფეხბურთო სტადიონზე. შეხვედრას არბიტრობდა მწვრთნელ-მასწავლებელი, ქართული ფეხბურთის და ყვარლის დურუჯის ვეტერანი ფეხბურთელი გივი შევერდოშვილი. დაძაბული ფინალური შეხვედრა დამთავრდა მეათე კლასის ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0 და ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ლაშა ბექაური, ლუკა მინდიაშვილი, ზურა ჯამასპიშვილი, გელა გრძელიძე, ფირუზ პატარაშვილი და გოგი გურგენაშვილი.

გამარჯვებულებს გარდამავალი თასი გადაეცათ და ილია შავერდაშვილის მამამ რობიზონ შავერდაშვილმა ტრადიციული პრიზით დააჯილდოვა ჩემპიონები.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზი, გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ზაურ ცუკილაშვილმა გადასცა ლაშა ბექაურს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დურუჯის ღვაწლმოსილი ფეხბურთელის მეტსახელად „ნოლტრის“ — გივი შევერდოშვილის ენთუზიაზმი და ორგანიზატორული ნიჭი, რომელმაც ენისლის ახალგაზრდობას შეაყვარა ფეხბურთი და ტოლს არ უდებენ თანატოლებს რეგიონის მასშტაბით. ამის დასტურია, მიმდინარე წელს გამართული კახეთის ჩემპიონატი 2001 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის, სადაც ენისლელებმა დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს და კახეთის ჩემპიონები გახდნენ: დავით შავერდაშვილი, სანდრო ახმეტელაშვილი, ნიკა მონასელიძე, პაატა ჩაბრაშვილი, ლუკა მინდიაშვილი, რობი ნერსეზაშვილი, გელა გრძელიძე, ფირო პატარაშვილი და გოგი გურგენაშვილი.



ახალგაზრდობას სპორტული თუ სხვა სახის ღონისძიებების განხორციელებაში ყოველთვის მხარში უდგანან ენისლის საჯარო სკოლის დირექტორი კონსტანტინე ცხოვრებაძე, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ხოსროშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი ენისელში კახა მჭედლიშვილი, ენერგოდისტრიბუციის ყვარლის ფილიალის უფროსი მიხეილ კიკნაძე, ვახტანგ ხოსროშვილი, ილია ველიაშვილი, თამაზ ჯანდიერი, იურა ცაცაშვილი და სხვები.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86